# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 9 მაისი 2005 №101 (2424) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჟუსტინი ოცდამეორე ტიტულით დამძიმდა**

12



**ჯომოლუნგმა კვლავ განრისხდა**

ევერესტმა კიდევ ოთხი იმსხვერპლა

13



**ძია ჯორჯი, ბეისბოლი და თბილისელი ნორჩები**

14

# დინამომ ზესტაფონიც გადაიტანა



# სიახლე ჩვენს კალათში

## ტექნიკოსები ავიამშენებლებს დაუპირისპირდნენ



კალათბურთში საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება. სამი დღის წინ ფინალში გასულ დებიუტანტ „ავიამშენს“ ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდიც შეუერთდა. გუშინ ტექნიკოსებმა ნახევარფინალური სერიის მესამე, გადამწყვეტი მატჩი სულ იოლად მოუგეს ვიცეჩემპიონ „დინამოს“ და ახლა დუდუ დადიანისა და საქართველოს თასებისთვის სეზონის უმთავრესი ტიტულის, ჩემპიონობის შემატებასაც ეშურებიან.

სტუ ერთხელ, 2001 წელს იყო ფინალში, მაგრამ მაშინ ყოველმხრივ დამარცხდა ბათუმის „ბასკოსთან“. ნახევარფინალები და ბრინჯაოს მედლები კი, იცოცხლეთ, მრავლად ახსოვთ ტექნიკოსებს. ახლა ისინი ახლოს არიან პირველ ტიტულთან, ოღონდ საამისოდ დიდი ბრძოლა ელით არანაკლებ ამბიციურ „თბილავიამშენთან“.

ფინალური სერია 12 მაისს, 17 საათზე იწყება და ჩემპიონი სამი მოგების შედეგად გამოვლინდება.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი 32 ტური



ზესტაფონი. 8 მაისი. 17 საათი. ცენტრალური. 6 500 (ტევადობა 12 000)

## ზესტაფონი 0:0 დინამო

| | |
|---|---|
| ზესტაფონი: ქვაჩახია, შ. ლონლაძე, იონანიძე, ს. თოდუა, გუჩუა (ნუდნი 46; ბ. გოცირიძე 80), ჩიკვილაძე, ძამსაშვილი, განუგრავა, კვერნაძე (სულაკაძე 46), გ. თურმანიძე, კ. ჩხეტიანი<br>სათადარიგონი: სომხიშვილი; ბ. ნოზაძე, პარამონოვი, იმედაძე<br>მწვრთნელი: თემურ მახარაძე | დინამო: ზოიძე, ლ. ჭელიძე, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, დ. ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, ბაბუნაშვილი, ნავალოვსკი, კაკალაძე (დვალი 62), მელქაძე (კ. მახარაძე 85)<br>სათადარიგონი: შეყრილაძე; გ. ჭელიძე, მიქაძე, დვალიშვილი, თომაშვილი<br>მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| გაფრთხილება: ნავალოვსკი (16), ბაბუნაშვილი (25), განუგრავა (40), ლ. ჭელიძე (59), განუგრავა (89) | |
| გაძევება: განუგრავა (89) | |
| მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი) | |
| ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი | |

# მავთულღობის სიკეთე

## ზესტაფონს შხაპუნაც ვერ აგრილებს

**მიმდინარე** სეზონის მეორე ეტაპზე „ზესტაფონმა“ „დინამოს“ ორჯერ მოუგო, ხოლო გუშინ ორი ქულა დააკარგვინა — „დინამოს“ და „ტორპედოს“ შორის სხვაობა ამ ტურის შემდეგ ექვსიდან ოთხ ქულამდე შემცირდა. თუმც, თუ დარჩენილი ოთხი ტურის კალენდარს შევავლებთ თვალს, „დინამოს“ ჩემპიონობა არ უნდა გაუჭირდეს.

ზესტაფონში კი გუშინ წვიმდა, ხოლო თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე რიკოთის უღელტეხილზე მეწყერიც ჩამოწვა.

შხაპუნა ამინდში კარგი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ სახიფათო მომენტები ძალიან მწირად იყო. გოლის გატანის საუკეთესო შანსი მიხეილ კაკალაძეს ჰქონდა, თითქმის პირისპირ იყო გასული ზურაბ ქვაჩახიასთან, მაგრამ ზესტაფონელი მცველი უკნიდან ჩაუხტა ფეხებში და ბურთი აართვა. დინამოელები პენალტს ითხოვდნენ, არბიტრი მერაბ მალალურაძე კი შეუვალი გახლდათ.

მასპინძელთაგან ზურაბ იონანიძის დარტყმულს თუ გამოვარჩევთ — ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ზესტაფონელთა შემტევმა 11-12 მეტრიდან ფეხი ისე მოუქნია, რომ მიზანი ველარ გაასწორა.

„ზესტაფონს“ თავდასხმაში მხოლოდ იონანიძე ჰყავდა, ხოლო „თბილისთან“ სათასო მატჩის გმირი ზაზა ზირაქიშვილი დისკვალიფიკაციის გამო ჰყავდა მოსაკლისებული.

„დინამო“ მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ამით ფონს ვერ გადიოდა. „ზესტაფონისთვის“ ახლა მთავარი 26 მაისი და თასის ფინალია, თუმც გუშინ არხეინი სულაც არ იყო და შლეგად ირჯებოდა. განსაკუთრებით 17 წლის გიორგი განუგრავა გამოირჩა, მაგრამ ის მატჩის მიწურულს გააძევეს — მეორე გაფრთხილება მაშინ მიიღო, როცა ვარდნაში ცდილობდა მეტოქისთვის ბურთის ართმევას. ყველაფერ ამას ზესტაფონელთა და დინამოელთა შორის წაკინკლავება მოჰყვა, რამაც „ზესტაფონის“ ქომაგთა ერთი ნაწილი მეტად გაახელა — ბიჭბუჭობა მოედნის მავთულღობეს მიაწყდა და ბილწი სიტყვები დაუშინა სტუმრებს — მატჩი არ შემწყდარა, თამაში მალევე განახლდა და ჩამთავრდა.

**ლუკა თალაკვაძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***








ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუჯირი იწყებს, მაგრამ შიშობს




**დავით მუჯირისთვის** ეს სეზონი ძალიან უიღბლო გამოდგა. ავსტრიული „შტურმის“ ქართველ ნახევარმცველს საზარდულის ტრავმა ისე გაურთულდა, უკვე 5 თვეა, თამაშს ვინ ჩივის, არც კი უვარჯიშია.

მუჯირს გუშინ ავსტრიაში რომ დავუკავშირდით, იმედიანად კი გველაპარაკა, მაგრამ მაინც შიშობდა, ერთ კვირაში ვარჯიშს ვიწყებ და ვაითუ ისევ დამეწყოს ტკივილებიო.

ჯერ გერმანელ, მერე კი ავსტრიელ ექიმებს მოგვიანებით დაუდგენიათ, დათოს საზარდულის ანთება რომ ჰქონია. მედიკოსებმა ეს ამბავი საოპერაციოდ არ ჩათვალეს, თუმც მუჯირისთვის ეს ვერაფერი შვება აღმოჩნდა.

„ჯობდა, ისევ ოპერაცია გადამეტანა, ვიდრე ამდენი ნემსი გამეკეთებინა. ახლა მეუბნებიან, ყველაფერი რიგზეა და ერთ კვირაში მსუბუქად ვარჯიშს დაიწყებო. დაახლოებით ოთხ კვირაში სირბილიც შემეძლება და იმედია, ზაფხულიდან „შტურმში“ სრული დატვირთვით მოვემზადები. ეს სეზონი ჩემთვის კარგა ხანია, დამთავრდა, მომავალს კი ფორმაში უნდა შევხვდე. ღმერთმა ქნას, აღარ გავწვალდე“ — გვითხრა მუჯირმა.

შეგახსენებთ, დათომ ავსტრიის მაქსბუნდესლიგის პირველი ნახევარი ურიგოდ არ ჩაატარა და გოლებიც ხშირად გაჰქონდა. ახლა მისი „შტურმი“ მერვე ადგილზეა და გავარდნა აღარ ემუქრება.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი 32 ტური

თბილისი. 8 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი. 100 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 3:0 კოლხეთი

1:0 სირბილაძე (70), 2:0 კახელიშვილი (77), 3:0 ბობოხიძე (90)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: სტურუა, ექონია, მახვილაძე, გ. ონიანი, მანჩხავა, რ. ონიანი, სანიკიძე, დ. ფოფხაძე, მძინარიშვილი (კახელიშვილი 58), რამონი (სირბილაძე 46), ალავერდაშვილი (ბობოხიძე 46) *სათადარიგონი:* ზ. ჩალაძე, სეთურიძე, გ. ჩივაძე, ქებაძე მწვრთნელი: ნოდარ აკობია | კოლხეთი: გიზო შენგელია, კილასონია, წაბრია (ხიზანიშვილი 79), ყურაშვილი, ლ. აკობია, მარგალიტაძე, ძარია, მელიქია, კუნჭულია, მიკუჩაძე, ტყებუჩავა (ნ. ნარსია 87) *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ა. ჩილვინაძე მწვრთნელი: სერგო გაბელაია |

გაფრთხილება: მიკუჩაძე (62), მანჩხავა (72)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა (თბილისი)

ინსპექტორი: ა. მილჩენკო



გიორგი კახელიშვილის მეორე გოლი ფოთელთა კარში

# ნოდარ აკობიამ გოლები შეიყვანა

## ფოთს ბოლნისი ჩასცეს

კახა შალამბერიძე

**ოქმი** ყურადღებით თუ წაიკითხეთ, საინტერესო რამეს აღმოაჩენდით — სამივე გოლი შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს. ირაკლი სირბილაძე, გიორგი კახელიშვილი და მიხეილ ბობოხიძე „ლოკომოტივის" თავკაცმა ნოდარ აკობიამ მეორე ტაიმში ჩართო თამაშში და ათიანშიც მოარტყა — 3:0. დაგვეთანხმებით, ასეთი რამ ფეხბურთში ხშირად არ ხდება.

არადა, მშიერი „კოლხეთი" მანამდე მაგრად იდგა. ყოველ შემთხვევაში, ფოთელებისგან იმას ნაღდად არ ველოდით, რაც პირველ ტაიმში ხდებოდა. მართალია, მომენტები „ლოკომოტივსაც" ჰქონდა, როცა ლევან სანიკიძეს, რამონს და როინ ონიანს მცირედი დააკლდათ გასატანად, თუმცა კოლხ გიორგი ტყებუჩავას მომენტთან ესენი ახლოსაც ვერ მოვლენ — ტყებუჩავა ლევან მელიქიას დაფარული პასით მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ზვიად სტურუას თავგანწირული თამაშის ნახვას არაფერი სჯობდა.

ცნობისათვის: რამდენიმე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების თავკაცმა ალენ ჟირესმა მეკარის პრობლემაზე ისაუბრა. გუშინ კი მუსიე ალენი „ლოკომოტივ" — „კოლხეთს" დაესწრო და ვინძლო, სტურუასაც ჰკიდა თვალი.

პირველ ტაიმში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, მერე კი, როგორც გითხარით, აკობიამ სირბილაძე-ბობოხიძე-კახელიშვილის სამეული შეიყვანა მოედანზე და გოლიც ნელ-ნელა მომწიფდა. კოლხები თბილისელთა შეტევებს უკვე ველარ აუდიოდნენ და გატყდნენ კიდეც — 70-ე წუთზე ნუკრი მანჩხავას ჩაწოდებულს სირბილაძემ ფეხი შეაგება — 1:0.

შვიდ წუთში ანგარიში 2:0 გახდა — კახელიშვილმა კარგად ისარგებლა სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით და ახლოდან დალაშქრა გიზო შენგელიას კარი.

ბოლო, 90-ე წუთზე კი მიხეილ ბობოხიძემ გაიხსენა ხელობა — დეკემბრის მერე „ბობოს" ჩემპიონატში გოლი ვერ გაეტანა და ნავსი გუშინ გატეხა. ისე, რამდენიმე დღის წინ ბობოხიძემ „ვიტ ჯორჯიასთანაც" გამოიჩინა თავი, თუმც ის სათასო მატჩი იყო და ამიტომაც არ შევიტანეთ სათვალავში.

„კოლხეთს" კი „ლახვარი" სტადიონის დირექტორმა ჩასცა — მატჩის დასრულებისთანავე გამოაცხადეს, რომ ბოლნისის „სიონმა" სტუმრად „ვიტ ჯორჯია" 2:0 დაამარცხა, რამაც ფოთელების უმაღლესლიგელობას წამმზომი ჩაურთო.



ნოდარ აკობია

# გაგორებულმა მეგრელაძემ გორი გააგორა



ნუკრი ლოლაძე ქუთაისიდან

**...მსაჯმა** ლევან კვარაცხელიამ მატჩს ორი წუთი დაამატა და... აწ უკვე პირველლიგელმა „დილამ" პირველ დამატებულ წუთზე „ტორპედოს" თავზარი დასცა — შეცვლაზე შესულმა დავით ნადირაძემ მირზა მერლანს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

ქუთათურებს თამაშის გადასარჩენად მხოლოდ ერთი წუთი ჰქონდათ, არადა, მატჩის დაწყებამდე ამას ვინ იფიქრებდა?!

მასპინძლებმაც გააფთრებით შეუტიეს და საჯარიმოში შეჭრილი გია მეგრელაძე დავით ხანიშვილმა წესის დარღვევით შეაჩერა. პენალტის ნიშნულთან თავად მეგრელაძე მივიდა და „ტორპედოს" გაჭირვებით მოაგებინა — 2:1.

რაც შეეხება მატჩის პირველ ნახევარს, მე-7 წუთზე ალექსანდრე კოშკაძის ჩაწოდებული ბურთი მეგრელაძემ მიწაზე დაუშვებლად გადაგზავნა კარში — ულამაზესი გოლი იყო.

მე-15 წუთზე გორელთაგან საუკეთესო საბა სულთანიშვილმა ტორპედოელთა კარისკენ ჩააწოდა. მერლანის გასაკვირად ბურთი ძელს მოხვდა, ასხლეტილზე კი მცველებმა განმუხტეს სიტუაცია.

32-ე წუთზე რევაზ ჯიქიას მიეცა ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ თამაზ ილურიძემ არ დაანება. ტაიმის მიწურულს კი კოშკაძის გამჭოლ გადაცემას მეგრელაძემ ვერ დაუხვედრა ფეხი.

მე-60 წუთი იყო, კვარაცხელიამ კოშკაძე მეტოქის ნახევარზე დააჯარიმა, ტორპედოელმა კი მსაჯი უშვერი სიტყვებით „შეამკო", კვარაცხელიამაც არ დაახანა და კოშკაძე მოედნიდან მიაბრძანა...

რაც შეეხება „ტორპედოს" ლიცენზირების საკითხს, ყველაფერი მალე მოგვარდებაო, გვითხრეს კლუბის წარმომადგენლებმა.

ქუთაისი. 8 მაისი. 17 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 2:1 დილა

1:0 მეგრელაძე (7), 1:1 ნადირაძე (90), 2:1 მეგრელაძე (90პ)

| | |
|---|---|
| ტორპედო: მერლანი, ებრალიძე, გამეზარდაშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, ბაქრაძე, სოსელია, კოშკაძე, რ. ჯიქია, მეგრელაძე *სათადარიგონი:* რევიშვილი; დ. ონიანი, რატი ბარაბაძე, მ. ლონლაძე, წუწუნავა, ხატიაშვილი მწვრთნელი: ოთარ გაბელია | დილა: თ. ილურიძე, კ. ხანიშვილი (დ. ნადირაძე 67), დ. ხანიშვილი, ხაჭაპურიძე, დ. მაისურაძე, თომაშვილი, რევაზიშვილი, ჯობაძე, ლ. გოჩაშვილი (ზექალაშვილი 75), ა. ლაბაძე (თურმანიძე 65), სულთანიშვილი *სათადარიგონი:* ტლაშაძე, ნასყიდაშვილი მწვრთნელი: რევაზ მამესწარაშვილი |

გაფრთხილება: მაისურაძე (80), დ. ხანიაშვილი (90)

გაძევება: კოშკაძე (60)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: ა. დურსუნიში

საქართველოს XVI ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი 32 ტური

# მთქნარება

## ორი სათაური რად უნდა?



პატარა ბათუმელებს მხოლოდ სანდრო იაშვილი გადაახტა

თბილისი. 8 მაისი. 17 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 1:0 ბათუმი

1:0 იაშვილი (45)

| თბილისი | ბათუმი |
|---|---|
| **თბილისი:** გრიშიკაშვილი, ლოლაძე, მიქიაშვილი, ქემოკლიძე, გ. ფოფხაძე, ბ. ჟღენტი (რევაზ ბარაბაძე 72), აფციაური, გეწაძე, ფიფია, იაშვილი (ვ. კვარაცხელია 78), შ. ჯიქია *სათადარიგონი:* კ. ჯინჭარაძე; ლილუაშვილი, ხიდეშელი, ბოჭოიძე, მინ ჩოი | **ბათუმი:** თოთლაძე, დუმბაძე, გოგიშვილი, ჯანელიძე, მუკმანიანი, კეკოშვილი, ცანავა, დ. ჯინჭარაძე, ტულუში, ფარტენაძე, კ. მეტრეველი *სათადარიგო:* არავინ |
| **მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი | **მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე |

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

**ინსპექტორი:** ა. ბარქაია

ილია ნანობაშვილი

**ბოლოხანს** საქართველოს ჩემპიონატში ძალიან გახშირდა, ასე ვთქვათ, „პრახადნოი" თამაშები. მიზეზის მოსაძებნად შორს წასვლა არ მოგიწევთ: ათიდან სამი გუნდი სულს ლაფავს, სამგზავრო ფულს ძლივს აკოწიწებს და რა გამოდის? ტურის 5 მატჩიდან სამის შედეგი წინასწარ იცი.

სამ ლატაკს შორისაა „ბათუმიც". რომელ თამაშზეა ლაპარაკი, როცა აჭარელთა სათადარიგო სკამზე მხოლოდ მწვრთნელი ამირან გოგიტიძე იჯდა ერთი-ორ ბავშვთან ერთად, რომლებიც განაცხადში არ იყვნენ.

11 ფეხბურთელით ჩამოსულმა ბათუმელებმა კიდევ კარგად გაძლეს — თავი არ დაუხრიათ და ზურგი არ უჩვენებიათ, პირველი საგოლე მომენტიც მათი იყო: კონსტანტინე მეტრეველი სოსო გრიშიკაშვილთან პირისპირ დარჩა, მაგრამ „თბილისის" გამოცდილმა გოლკიპერმა ბურთს ხელი წაატანა და კუთხურზე გადააგდო.

ახლა სიზარმაცეს ნუ დაგვაბრალებთ, მაგრამ ორად ორი მომენტილა უნდა აღვნიშნოთ და თავიც რომ ვიმტვრიოთ, ამ ანტიფეხბურთიდან მეტს ვერ გამოვჩირჩნით. ორივე სანდრო იაშვილის თავური იყო: პირველად ბათუმელთა მეკარე ირაკლი თოთლაძემ იმარჯვა და ძლივს მისწვდა ბურთს, მეორედ კი სანდრომ ბესო მიქიაშვილის ჩაწოდებულს საპენალტე ნიშნულიდან ისეთი დაჰკრა, გოლი რომ არ გასულიყო, საცოდაობა იქნებოდა — 1:0. ეს ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა, შესვენების შემდეგ კი არც ჯიგარი იყო, არც ტემპი და არც ნამდვილი ფეხბურთის თუნდაც ერთი პატარა ნაგლეჯი...

აჭარელები მეორე შემადგენლობით, უმეტესად 16-17 წლის ბავშვებით იყვნენ და კოპერფილდები არ არიან, სასწაულები მოეხდინათ. ერთი კია, დაცვაში მწყობრად იდგნენ და ართმევაზე თამაში დაამულამეს, თორემ შეტევაში ფხა არ გამოუჩენიათ. თბილისელები კი აშკარად ვერ იყვნენ იშტაზე, ერთი გააზრებული კომბინაცია ვერ დახლართეს და ბურთის გაუთავებელი თრევით იჯერებდნენ გულს. სანდრო იაშვილს კიდევ უნდოდა გატანა, თანაგუნდელებს (რა თქმა უნდა, მსაჯებსაც) უბღვერდა და მუდმივად პასს ითხოვდა, მაგრამ პატარა ბათუმელები მარწუხებს უჭერდნენ.

„თბილისს" აშკარად მეტი ეკადრებოდა და ამიტომაც გმინავდა მათი ერთი გულშემატკივარი ნამატჩევს — რა თავში სახლელად მინდა ეგეთი სამი ქულა, თუ ფეხბურთს ვერ ვნახავო...

*ამირან გოგიტიძე.* ფეხბურთელებს ორი, მწვრთნელებს კი ოთხი თვეა, ხელფასი არ აგვიღია. ამას წინათ ჩვენი თავდამსხმელი ბორის გონჩაროვი დაშავდა და მკურნალობის ფულიც ვერ მივიღეთ. ერთი თვის წინ ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ ახლა აღარც პორტი გვაფინანსებს და აღარც არავინ. მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანიზაციებისგან დახმარება შეგვიწყდა. კლუბის ხელმძღვანელობა აჭარელ ბიზნესმენებს აწუხებს, მაგრამ მათგან ისეთი ვერავინ გამოიძებნა, ფეხბურთი რომ უყვარს.

*ლუის ცაკარიასი:* „ზესტაფონთან" დამღლელი თამაშის შემდეგ ძალები ვერ აღვიდგინეთ. ზედიზედ ორი თამაშის მაღალ ტემპში ჩატარება „თბილისმა" ვერ შეძლო. ჩვენ გრძელი სკამი არ გვაქვს და მთელი სიმძიმე 11 ფეხბურთელზე გადადის. სამი ქულით კმაყოფილი ვარ, თამაშისა კი რა გითხრათ...

# სიონი მცხეთაში დარჩა

## კოჭლაშვილმა მარცვალაძე დაიცვა

მცხეთა. 8 მაისი. 17 საათი. არმაზი. 100 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 0:2 სიონი

0:1 ისიანი (27), 0:2 დათვაძე (47პ)

| ვიტ ჯორჯია | სიონი |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, კობიაშვილი, კვახაძე, აფშილავა (ნათიძე 60), რაზმაძე (ლ. მანწკავა 46), დილმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, იმედაშვილი, კუსრაშვილი, მარცვალაძე (ებანოიძე 71), დ. ჩილვინაძე *სათადარიგონი:* ჭურაძე; ვ. გოჩაშვილი, გველესიანი, დ. ლომაია | **სიონი:** ბობლიაშვილი, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, ოქროპირიძე, სვანიძე, ბაჯელიძე (ჩაჩუა 46), გ. დოლიძე, ალავიძე, დათვაძე (თ. უგრეხელიძე 85), რუსია, ისიანი (ქარდავა 46) *სათადარიგონი:* ასლანაძე; ავალიანი, ნადირაშვილი, გოგოლაძე |
| **მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი | **მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი |

**გაფრთხილება:** სიდამონიძე (35), მარცვალაძე (71)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. მენთეშაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

**ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

კობა ინასარიძე მცხეთიდან

**„სიონმა"** ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" დამარცხებით, ფაქტობრივად, გაინაღდა ადგილი უმაღლეს ლიგაში. და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ბოლნისელებს სტუმრად მოგება დიდად არც გასჭირვებით. მეორე ტაიმის დასაწყისშივე გატანილი პენალტის შემდეგ კი უკვე ცხადი გახდა — „სიონი" მცხეთიდან სამი ქულით გაბრუნდებოდა.

დიდი ვერაფერი სანახაობა გამოვიდა „არმაზზე". თითებზე ჩამოსათვლელი მომენტები, უამრავი შეცდომა, ოღრო-ჩოღრო მოედანი... რამდენიმე ათეული ქომაგი, რომელთა შორის სტუმრები სჭარბობდნენ, სულ ორჯერ, გოლებისას გახალისდა. სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. ჰო, ესეც აღსანიშნია: როცა არბიტრი ალექსანდრე შილაკაძე მასპინძელთა ფორვარდ ოთარ მარცვალაძეს აფრთხილებდა, „სიონის" თავკაცი მერაბ კოჭლაშვილი წამოხტა, მეტოქის ფეხბურთელს გამოექომაგა და მსაჯს რამდენჯერმე შეუძახა, ოთარს ნუ გააფრთხილებო. შილაკაძემ მწვრთნელის თხოვნა ყურიდან ყურში გაუშვა და მარცვალაძეს ყვითელი მაინც უჩვენა. დაგვეთანხმებით, ცოტა უცნაური ამბავია.

მატჩი „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობით დაიწყო და, ცოტა რომ გამართლებოდა, დაწინაურდებოდა კიდეც. გიორგი დათუნაიშვილმა დაახლოებით 30 მეტრიდან ბურთს ისეთი ამოსცხო, ხალხი გაკვირვებული დატოვა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მინდია ბობლიაშვილმა იყოჩაღა, ბურთს თითები წაატანა და კუთხურზე მოიგერია. ამ დროისთვის „სიონი" მასპინძელთა ნახევარზე გადასულიც არ იყო, ბუნებრივია, „ვიტ ჯორჯიას" მეკარეც უსაქმოდ იდგა, მაგრამ ბოლნისელებმა პირველივე შეტევა გოლით კი დაასრულეს — მარჯვნიდან გრიგოლ დოლიძის დაბალ ჩაწოდებულს შალვა ისიანმა სწორად შეურჩია ადგილი და ჭვინტისკვრით გაიტანა.

მოულოდნელად 0:1-ზე „ვიტ ჯორჯია" უარესად ათამაშდა, ვიდრე იქამდე. ტაიმის დარჩენილ დროში მასპინძლებს, რომლებსაც ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ, გასაკვირია და, კარისკენ არც დაურტყამთ, თუმც შეტევებით თავი არც სტუმრებს გამოუდიათ.

შესვენებაზე კოჭლაშვილმა ორი შეცვლა გააკეთა. ლევან ჩაჩუამ შუა ხაზი გააძლიერა და იქ დავით სვანიძეს შეუწყვილდა, ბესიკ ქარდავა კი თავდასხმაში მამუკა რუსიას ამოუდგა მხარში. შეცვლებმა თამაშის განახლებისთანავე გაამართლა. ჩაჩუამ ბურთი ცენტრში ჩაჭრა, ქარდავამ კი გრიგოლ ბედიაშვილს საჯარიმოში თავი წააქცევინა და პენალტი... დავით დათვაძის დარტყმული ზუსტი გამოდგა.

აი, ამის მერე კი გააქტიურდა „ვიტ ჯორჯია". ჯანი კარნევალიმ თამაში სამი თავდამსხმელითაც განაგრძო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მასპინძლები გოლთან ახლოს მატჩის ბოლოსკენ იყვნენ, მაგრამ დავით ჩილვინაძეს ბობლიაშვილმა ცოცხალი თავით არ გაატანინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 32 | 20 | 5 | 7 | 64:27 | 65 |
| ტორპედო | 32 | 17 | 10 | 5 | 51:27 | 61 |
| თბილისი | 32 | 18 | 6 | 8 | 52:35 | 60 |
| ლოკომოტივი | 32 | 15 | 13 | 4 | 39:19 | 58 |
| ზესტაფონი | 32 | 14 | 5 | 13 | 32:42 | 47 |
| ვიტ ჯორჯია | 32 | 12 | 9 | 11 | 49:35 | 45 |
| ბათუმი | 32 | 8 | 12 | 12 | 32:27 | 36 |
| სიონი | 32 | 10 | 4 | 18 | 30:52 | 34 |
| კოლხეთი | 32 | 8 | 5 | 19 | 26:51 | 29 |
| დილა | 32 | 2 | 3 | 27 | 17:77 | 9 |

## ინგლისი

პრემიერლიგა. XXXVII ტური

**ჩელსი 1:0 ჩარლტონი**

1:0 მაკელელე (90)
ჩელსი: კუდიჩინი (პიდგელი 82), გ. ჯონსონი (იაროშიკი 67), ტერი, რ. კარვალიუ, გალასი, ჯ. კოული, მაკელელე, ლამპარდი, ტიაგუ (ფორსელი 67), ჯერემი, გუდიონსენი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ჩარლტონი: ანდერსენი, ლ. იანგი, ელ კარკური, ჯ. ფორჩუნი, კონჩესკი, კიშიშევი, ჰოლანდი, მერფი, ბ. ჰიუზი, ჯ. იოჰანსონი, ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მსაჯი: რაილი
42 065 მაყურებელი

**არსენალი 3:1 ლივერპული**

1:0 პირესი (25), 2:0 რეიესი (29), 2:1 ჯერარდი (51), 3:1 ფაბრეგასი (90)
არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, სენდეროსი, ეშლი კოული, ფაბრეგასი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი (ედუ 68), რეიესი (ალიადიერი 86), ვან პერსი (ბერხკამპი 68)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ხაბი ალონსო, ჰამანი (შმიცერი 68), რიისე (კიუელი 46), ჯერარდი, ლუის გარსია, ბაროში (ჯ. სისე 46)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბაროში, ჰამანი
მსაჯი: პოლი
38 119 მაყურებელი

**მანჩესტერი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 გიგზი (21), 1:1 ერნშოუ (63პ)
მანჩესტერი: კეროლი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ოში, კ. რონალდო, ფ. ნევილი (სქოულზი 67), კლებერსონი (რუნი 67), კ. ფორჩუნი, გიგზი, ა. სმიტი (საა 67)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი (კუშჩაკი 22), ალბრეხტსენი, გაარდსო, კლემენტი, პ. რობინსონი, გერა (ინამოტო 83), უოლვორკი, ჯ. გრინინგი, ერნშოუ, კ. კემბელი, ჰორსფილდი (კანუ 66)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: სმიტი
მსაჯი: ჰალსი
67 827 მაყურებელი

**ევერტონი 2:0 ნიუკასლი**

1:0 ვეირი (43), 2:0 ჩეჰილი (59)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, იობო, ვეირი, ს. უოტსონი, კარსლი, მ. ბენტი (მაკფადენი 74), ჩეჰილი (სტაბსი 89), არტეტა, კილბეინი, ბ. ფერგიუსონი (ბიტი 63)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ნიუკასლი: გივენი, კარი (რამაგი 46), ბუმსონგი, ბრამბლი, ბაბაიარო, ამბროზი, ნზოგბია, ჯენასი, მილნერი (შირერი 82), კლუივერტი, ამეობი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: კარსლი, ჩეჰილი, არტეტა, კლუივერტი
გაძევება: ამეობი (56)
მსაჯი: ნაითი
40 438 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:1 ბოლტონი**

0:1 დიუფი (11), 1:1 აიეგბენი (72)
პორტსმუთი: ეშდოუნი, პრიმუსი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, მეთიუ ტეილორი, მეზაგი (ა. სისე 77), ონილი, სკოპელიტისი (ფულერი 60), ს. ჰიუზი, აიეგბენი, დ. კამარა (კენე 60)
მწვრთნელი: ალენ პერენი
ბოლტონი: იასკელაინენი, კანდელა (ჯაიდი 76), ნგოტი, ბენ ჰაიმი, რ. გარდნერი, იერო, იანაკოპულოსი (ნოლანი 55), ოკოჩა, სპიდი, დიუფი (ჰ. პედერსენი 84), კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: გარდნერი, დიუფი
მსაჯი: მესიასი
20 188 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ბოატენგი (11)
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, კედრუ, პარლოუ, ბოატენგი, ზენდენი (დორივა 78), დაუნინგი, ჰასელბაინკი, ნემეტი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ტოტენჰემი: ჩერნი, ედმანი, კინგი, დოუსონი, ს. კელი, ე. რიდი (მიდო 69), კარიკი, შ. დევისი, საიმონ დევისი, კანუტე (ციგლერი 83), დეფო (რობი კინი 58)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: საუთგეიტი, შ. დევისი, კარიკი, მიდო
მსაჯი: გალაჰერი
34 766 მაყურებელი

**კრ. პალასი 2:2 საუთჰემპტონი**

1:0 ჰალი (34), 1:1 კრუჩი (37პ), 2:1 ვენტოლა (72), 2:2 ჰიგინბოთემი (90)
კრ. პალასი: კირალი, ჰალი, პოპოვიჩი (ვენტოლა 64), სორონდო, გრენვილი, რუტლეჯი, ლიგერტვუდი, რიიჰილაჰტი (ბ. უოტსონი 64), გ. ჰიუზი, სუარესი, ენდრიუ ჯონსონი
მწვრთნელი: იან დოუვი
საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ბერნარი, ოკლი (დელაპი 76), რედნაპი (გ. მაკკანი 79), ქუოში, ლე სო (ფილიპსი 63), ა. კამარა, კრუჩი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ჯონსონი, ჰალი, ვენტოლა, ფილიპსი
გაძევება: კრუჩი (58), სორონდო (58)
მსაჯი: ვები
26 066 მაყურებელი

**ნორვიჩი 1:0 ბირმინგემი**

1:0 ეშტონი (45პ)
ნორვიჩი: რ. გრინი, ჰელვეგი, ფლემინგი, შეკელი, დრური (ჩარლტონი 72), ბენტლი, საფრი (ჰოლტი 63), ფრენსისი, ჰაკერბი, მაკკენზი (მ. სვენსონი 86), ეშტონი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი (რ. ბლეიქი 78), აჰსონი, კლეპამი, პენანტი, დ. ჯონსონი, ნაფტი, ლაზარიდისი (კლემენსი 19), ჰესკი, პანდიანი (კ. მორისონი 46)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: მაკკენზი, ნაფტი, კანინგემი, მორისონი, პენანტი, კლემენსი
გაძევება: ჯონსონი (31)
მსაჯი: ბენეტი
25 477 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:2 მანჩესტერ სიტი**

0:1 შ. რაიტ-ფილიპსი (5), 0:2 მუსამპა (12), 1:2 ანხელი (61)
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მ. ლაურსენი, დილანი, ჯ. სამუელი (ჯემბა-ჯემბა 46), ჰენდრი (ლ. მური 78), სტივენ დევისი, ჰიცლშპერგერი (სოლანო 46), ბერი, ჰ. ანხელი, ვასელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, მილსი, დისტინი, ონუა, ტეტჩერი, შ. რაიტ-ფილიპსი, კ. რეინა, ჯ. ბარტონი, მუსამპა, სიბიერსკი (ბ. რაიტ-ფილიპსი 71), მაკენი (კროფტი 79)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: სოლანო, ბარტონი
მსაჯი: ბიბი
39 645 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:3 ფულემი**

1:0 ნაილი (6), 1:1 მალბრანკი (20), 1:2 მაკბრაიდი (53), 1:3 მალბრანკი (77)
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, ნელსენი, ნ. იოჰანსონი, მოკოენა (თუგაი 76), ემერტონი, სევიჯი, ს. რიდი (დ. ტომპსონი 32), მ. პედერსენი (დერბიშირი 82), სტიდი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, გომა, როსენიორი, რაძინსკი, მალბრანკი, პემბრიჯი, კლარკი, ბოა მორტე, ბ. მაკბრაიდი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ნაილი, სტიდი, ბოა მორტე, პემბრიჯი
გაძევება: შორტი (70), როსენიორი (70)
მსაჯი: დოუდი
18 991 მაყურებელი

# ბოლოს, ბოლოს და ბოლოს
## ერთი რჩება, სამი ვარდება



კრ. პალასი — საუთჰემპტონი. გრემ ლე სომ საიმონ რუტლეჯი არ გაატარა

**ახლა** უკვე დიდად საინტერესო აღარ არის, თუ რა ხდება პრემიერლიგის ცხრილის სათავეში და ვინ მონადირებს უეფას თასის საგზურებს — ჩემპიონთა ლიგისა უკვე მონადირებულია, „მანჩესტერმა“ კი თითქმის თავად გამოიწერა მესამე ადგილი, რახან შინ, პირველი დივიზიონისთვის განწირულ „ვესტ ბრომვიჩს“ ვერ მოუგო, ხოლო „ევერტონს“ კი „ნიუკასლის“ ძლევის შემდეგ ქულაღა აკლია, რომ საბოლოოდ, ოფიციალურად ჩამოიტოვოს მოძულე თანაქალაქელი „ლივერპული“ მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში.

ბევრად უფრო მაგარი ამბავი ცხრილის ბოლო ოთხ საფეხურზე ტრიალებს — როცა „ჩელსიმ“ სახალხო შოუ გამართა „სტემფორდ ბრიჯზე“ და ჩემპიონობა იზეიმა, ეს ბოლო ოთხი საფეხური საცოდავადაც კი ჩანს, მაგრამ, ნამდვილი და ფიცხელი ბრძოლა სწორედ რომ აქ მიმდინარეობს. ხსნის ადგილი ერთია, გუნდი კი ოთხი, ასე რომ, თვით „ვესტ ბრომვიჩსაც“ კი, რომელიც ბოლოა და 2 ქულით ჩამორჩება მე-17 ადგილზე ამძვრალ „ნორვიჩს“, აქვს გადარჩენის შანსი.

შაბათს ერთმანეთს ეთამაშნენ „კრისტალ პალასი“ და „საუთჰემპტონი“, რომლებიც ქულით უსწრებენ „ვესტ ბრომს“ და ქულით ჩამორჩებიან „ნორვიჩს“. დენი ჰიგინბოთემის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა „საუთჰემპტონს“ შანსი მისცა, „კრისტალ პალასს“ კი ამოსუნთქვის საშუალება წაართვა.

პირველი ტაიმის სამწუთიან მონაკვეთში გუნდებმა გოლები გაცვალეს, მეორე ტაიმის შუაში ნიკოლა ვენტოლამ „პალასი“ წინ გაიყვანა, 93-ე წუთზე კი ჰიგინბოთემი მარტო დარჩა მასპინძელთა კარის წინ. ამ 2:2-მა ყველაფერი ბოლო ტურში გადაიტანა და იქ კი ორივემ უნდა მოიგოს — პირველმა „ჩარლტონთან“, მეორემ კი „მანჩესტერთან“. ეს ყოველივე კი იმიტომ, რომ „ნორვიჩმა“ „ბირმინგემი“ დაამარცხა, თუმცაღა, ამითაც ვერ იხსნა თავი.

„პალასი“ — „საუთჰემპტონი“ იმგვარად თავზეხელაღებული თამაში იყო, რომ მეორე ტაიმში ფეხბურთელთა გასაშველებლად მინდორზე პოლიცია შევარდა. შედეგად, „პალასელი“ მცველი გონსალო სორონდო და „წმინდანთა“ მთავარმეგოლე პიტერ კრუჩი გააძევეს.

„საუთჰემპტონის“ მენეჯერი ჰარი რედნაპი გაძევებებით უკმაყოფილო დარჩა: „მსაჯმა ჰოვარდ ვებმა ბიჭებს უთხრა, რომ ყვითლებს აძლევდა. ამ დროს კი გვერდითი მსაჯი ჩაერია და წითლები მიაცემინა. ჩვენ კრუჩი ძალიან დაგვაკლდა“.

ნორვიჩელი „იადონები“ კი ხარობენ — დინ ეშტონის პენალტმა, ათკაციანი „ბირმინგემის“ კარში რომ გავიდა, გუნდს გადარჩენის შანსი მისცა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ბირმინგემელმა კლინტონ მორისონმა ორჯერ მოარტყა ბურთი ძელს, მაშინ გამოვა, რომ ეს შაბათი „ნორვიჩისა“ იყო.

გამარჯვებულთა ბოსმა ნაიჯელ უორზინგტონმა თქვა: „სეზონის ამ ეტაპზე ქულები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თამაშის იერი. ახლა ბოლო დარტყმისთვის ვემზადებით“.

არანაკლები ჟივილ-ხივილი იყო „ვესტ ბრომის“ რიგებში: „მანჩესტერის“ ყოფილი კაპიტანი და ლეგენდა, ბრაიან რობსონი პირველად ჩავიდა „ოლდ ტრეფორდზე“, როგორც „ვესტ ბრომვიჩის“ მენეჯერი და იქედან ქულა წამოიღო. თუმცა, ამას თავის [illegible] მეკარეს, ტომაშ კუშჩაკს უნდა უმადლოდეს. ასევე იმასაც, რომ მეორე ტაიმში [illegible] ერნშოუმ სადავო პენალტით გაქვითა რაიან გიგზის გოლი.

ახლა „ვესტ ბრომვიჩმა“ გადარჩენილი „პორტსმუთი“ უნდა დაამარცხოს ბოლო ტურში, თუმცა, ძნელად რომ ეს გამარჯვება ეყოს.

„ჩვენ რომ დავრჩეთ, ჩემი საუკეთესო მიღწევა იქნება ფეხბურთში“ — თქვა რობსონმა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჩელსი | 36 | 28 | 7 | 1 | 68:13 | 55 | 91 | 19 | 14 | 5 | 0 | 35:6 | 29 | 47 | 17 | 14 | 2 | 1 | 33:7 | 26 | 44 |
| 2 | არსენალი | 36 | 24 | 8 | 4 | 79:34 | 45 | 80 | 18 | 12 | 5 | 1 | 47:19 | 28 | 41 | 18 | 12 | 3 | 3 | 32:15 | 17 | 39 |
| 3 | მანჩესტერი | 36 | 21 | 11 | 4 | 55:22 | 33 | 74 | 18 | 12 | 6 | 0 | 30:9 | 21 | 42 | 18 | 9 | 5 | 4 | 25:13 | 12 | 32 |
| 4 | ევერტონი | 36 | 18 | 7 | 11 | 43:36 | 7 | 61 | 19 | 12 | 2 | 5 | 24:15 | 9 | 38 | 17 | 6 | 5 | 6 | 19:21 | -2 | 23 |
| 5 | ლივერპული | 37 | 16 | 7 | 14 | 50:40 | 10 | 55 | 18 | 11 | 4 | 3 | 29:14 | 15 | 37 | 19 | 5 | 3 | 11 | 21:26 | -5 | 18 |
| 6 | ბოლტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 46:42 | 4 | 55 | 18 | 8 | 5 | 5 | 22:16 | 6 | 29 | 19 | 7 | 5 | 7 | 24:26 | -2 | 26 |
| 7 | მიდლსბრო | 37 | 14 | 12 | 11 | 52:45 | 7 | 54 | 19 | 9 | 6 | 4 | 29:19 | 10 | 33 | 18 | 5 | 6 | 7 | 23:26 | -3 | 21 |
| 8 | სიტი | 37 | 13 | 12 | 12 | 46:38 | 8 | 51 | 18 | 8 | 5 | 5 | 23:13 | 10 | 29 | 19 | 5 | 7 | 7 | 23:25 | -2 | 22 |
| 9 | ტოტენჰემი | 37 | 14 | 9 | 14 | 47:41 | 6 | 51 | 18 | 9 | 4 | 5 | 36:22 | 14 | 31 | 19 | 5 | 5 | 9 | 11:19 | -8 | 20 |
| 10 | ასტონ ვილა | 37 | 12 | 11 | 14 | 44:50 | -6 | 47 | 19 | 8 | 6 | 5 | 26:17 | 9 | 30 | 18 | 4 | 5 | 9 | 18:33 | -15 | 17 |
| 11 | ჩარლტონი | 37 | 12 | 9 | 16 | 40:56 | -16 | 45 | 18 | 8 | 3 | 7 | 27:27 | 0 | 27 | 19 | 4 | 6 | 9 | 13:29 | -16 | 18 |
| 12 | ნიუკასლი | 37 | 10 | 13 | 14 | 46:56 | -10 | 43 | 18 | 7 | 6 | 5 | 24:24 | 0 | 27 | 19 | 3 | 7 | 9 | 22:32 | -10 | 16 |
| 13 | ბირმინგემი | 37 | 10 | 12 | 15 | 38:45 | -7 | 42 | 18 | 7 | 6 | 5 | 22:14 | 8 | 27 | 19 | 3 | 6 | 10 | 16:31 | -15 | 15 |
| 14 | ბლექბერნი | 37 | 9 | 14 | 14 | 32:43 | -11 | 41 | 19 | 5 | 8 | 6 | 21:22 | -1 | 23 | 18 | 4 | 6 | 8 | 11:21 | -10 | 18 |
| 15 | ფულემი | 37 | 11 | 8 | 18 | 46:60 | -14 | 41 | 18 | 7 | 4 | 7 | 23:26 | -3 | 25 | 19 | 4 | 4 | 11 | 23:34 | -11 | 16 |
| 16 | პორტსმუთი | 37 | 10 | 9 | 18 | 43:57 | -14 | 39 | 19 | 8 | 4 | 7 | 30:26 | 4 | 28 | 18 | 2 | 5 | 11 | 13:31 | -18 | 11 |
| 17 | ნორვიჩი | 37 | 7 | 12 | 18 | 42:71 | -29 | 33 | 19 | 7 | 5 | 7 | 29:32 | -3 | 26 | 18 | 0 | 7 | 11 | 13:39 | -26 | 7 |
| 18 | საუთჰემპტონი | 37 | 6 | 14 | 17 | 44:64 | -20 | 32 | 18 | 5 | 9 | 4 | 29:28 | 1 | 24 | 19 | 1 | 5 | 13 | 15:36 | -21 | 8 |
| 19 | კრ. პალასი | 37 | 7 | 11 | 19 | 39:60 | -21 | 32 | 19 | 6 | 5 | 8 | 21:19 | 2 | 23 | 18 | 1 | 6 | 11 | 18:41 | -23 | 9 |
| 20 | ვესტ ბრომვიჩი | 37 | 5 | 16 | 16 | 34:61 | -27 | 31 | 18 | 4 | 8 | 6 | 15:24 | -9 | 20 | 19 | 1 | 8 | 10 | 19:37 | -18 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 25 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 20 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 13 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 13 |
| პირესი (არსენალი) | 13 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 12 |
| კრუჩი (საუთჰემპტონი) | 12 |
| ლამპარდი (ჩელსი) | 12 |

### XXXVIII ტური
14-15 მაისი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი | არსენალი |
| ვესტ ბრომვიჩი | პორტსმუთი |
| ბოლტონი | ევერტონი |
| ჩარლტონი | კრ. პალასი |
| ფულემი | ნორვიჩი |
| ლივერპული | ასტონ ვილა |
| სიტი | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | ჩელსი |
| საუთჰემპტონი | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | ბლექბერნი |

### ჩემპიონატი
XLVI ტური

**ლიდსი 0:0 როტერჰემი**

**ბრაიტონი 1:1 იფსვიჩი**
0:1 კუქი (4), 1:1 ვირგო (10)

**კარდიფი 1:0 ქუინზ პარკი**
1:0 მაკანუფი (27)

**ქრიუ 2:1 ქოვენთრი**
0:1 ადებოლა (23), 1:1 ჰიგდონი (54), 2:1 ს. ჯოუნსი (72)

**დერბი 3:1 პრესტონი**
1:0 იდიაკესი (45), 2:0 ტ. სმიტი (49), 2:1 ეგიმენგი (69), 3:1 პეშისოლიდო (90)

**მილუოლი 0:0 ბარნლი**

**ნოტინგემი 2:2 ჯილინგემი**
1:0 მორგანი (29), 1:1 მელვილი (61ს.კ.), 1:2 სიდიბე (77), 2:2 ბოპი (85)

**პლიმუთი 0:0 ლესტერი**

**სანდერლენდი 1:0 სტოკი**
1:0 კ. რობინსონი (57)

**უოტფორდი 1:2 ვესტ ჰემი**
0:1 ე. ფერდინანდი (42), 0:2 ჰერვუდი (70პ), 1:2 ჰელგუსონი (89პ)

**უიგანი 3:1 რედინგი**
1:0 მაკკალოხი (18), 2:0 რობერტსი (21), 3:0 ელინგტონი (85), 3:1 სიდუელი (90)

**ვულვზი 4:2 შეფილდი**
1:0 ლესკოტი (12), 1:1 ა. ქუინი (13), 2:1 კლარკი (23), 2:2 ე. გრეი (37), 3:2 კევინ კუპერი (50), 4:2 კ. მილერი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 46 | 29 | 7 | 10 | 76:41 | 94 |
| უიგანი | 46 | 25 | 12 | 9 | 79:35 | 87 |
| იფსვიჩი | 46 | 24 | 13 | 9 | 85:56 | 85 |
| დერბი | 46 | 22 | 10 | 14 | 71:60 | 76 |
| პრესტონი | 46 | 21 | 12 | 13 | 67:58 | 75 |
| ვესტ ჰემი | 46 | 21 | 10 | 15 | 66:56 | 73 |
| რედინგი | 46 | 19 | 13 | 14 | 51:44 | 70 |
| შეფილდი | 46 | 18 | 13 | 15 | 57:56 | 67 |
| ვულვზი | 46 | 15 | 21 | 10 | 72:59 | 66 |
| მილუოლი | 46 | 18 | 12 | 16 | 51:45 | 66 |
| ქუინზ პარკი | 46 | 17 | 11 | 18 | 54:58 | 62 |
| სტოკი | 46 | 17 | 10 | 19 | 36:38 | 61 |
| ბარნლი | 46 | 15 | 15 | 16 | 38:39 | 60 |
| ლიდსი | 46 | 14 | 18 | 14 | 49:52 | 60 |
| ლესტერი | 46 | 12 | 21 | 13 | 49:46 | 57 |
| კარდიფი | 46 | 13 | 15 | 18 | 48:51 | 54 |
| პლიმუთი | 46 | 14 | 11 | 21 | 52:64 | 53 |
| უოტფორდი | 46 | 12 | 16 | 18 | 52:59 | 52 |
| ქოვენთრი | 46 | 13 | 13 | 20 | 61:73 | 52 |
| ბრაიტონი | 46 | 13 | 12 | 21 | 40:65 | 51 |
| ქრიუ | 46 | 12 | 14 | 20 | 66:86 | 50 |
| ჯილინგემი | 46 | 12 | 14 | 20 | 45:66 | 50 |
| ნოტინგემი | 46 | 9 | 17 | 20 | 42:66 | 44 |
| როტერჰემი | 46 | 5 | 14 | 27 | 35:69 | 29 |

### პირველი ლიგა
XLVI ტური

ბლეკპული — ბარნსლი 0:2; ბორნმუთი — ჰარტლპული 2:2; ბრენტფორდი — ჰალი 2:1; კოლჩესტერი — ტორკი 2:1; დონკასტერი — ლუტონი 3:3; დონსი — ტრანმერი 2:1; ოლდემი — ბრედფორდი 2:1; პორტ ვეილი — პიტერბრო 1:0; უესდი — ბრისტოლი 2:3; სუინდონი — ჩესტერფილდი 1:1; უოლსოლი — სტოკპორტი 3:0; რექსემი — ჰადერსფილდი 0:1

### მეორე ლიგა
XLVI ტური

ბოსტონი — როჩდეილი 1:1; როვერსი — უიკომბი 1:0; ბერი — სუონსი 0:1; კემბრიჯი — ნოტსი 0:0; დარლინგტონი — ჩელტენემი 3:1; გრიმსბი — საუთენდი 1:1; ლეიტონი — მენსფილდი 2:1; მაკლსფილდი — რაშდენი 1:0; ნორთჰემპტონი — კიდერმინსტერი 3:0; ოქსფორდი — ჩესტერი 0:1; შრიუსბერი — სკანთორპი 0:0; იოვილი — ლინკოლნი 3:0

### კონფერენსლიგა
პლეი ოფი

**კარლაილი 2:1 ალდერშოტი**

**ჰერეფორდი 0:1 სტივენეიჯი**

## გერმანია

ბუნდესლიგა. XXXII ტური

**არმინია 0:2 შალკე**

0:1 ლინკოლნი (93), 0:2 აილტონი (90)
არმინია: ჰაინი, ლეესე, ლანგკამპი, ბორგესი, ბოგუში (პინტო 61), კაუფი, დამაიერი (კიუწცელი 82), ოვომოიელა, შკელა, დურო (ბოაკიე 33), ფ. ვატა
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
შალკე: ჰაიმეროტი, ჰამიტ ალტინტოპი, ვალდოხი, ბორდონი, კრსტაიჩი, კ. პოულსენი, ვერმანტი, ასამოა (აილტონი 81), ლინკოლნი (დ. როდრიგესი 90), კობიაშვილი, სანდი (ჰანკე 81)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: კაუფი, ვალდოხი, კრსტაიჩი, პოულსენი, კობიაშვილი, ასამოა, აილტონი
მსაჯი: ფლაიშერი
26 601 მაყურებელი

**ფრაიბურგი 1:2 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ბლანკი (24), 0:2 ზანდი (40პ), 1:2 ბაირამოვიჩი (73)
ფრაიბურგი: გოლცი, კრუპკე (ტანკო 46), ოლაიენგბეში, მ. დიარა, იბერცბერგერი, აოგო, ანტარი (ბაირამოვიჩი (46), ს. კულიბალი, კუჯუ, იაშვილი, სანუ (პიტროიპა 72)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
კაიზერსლაუტერნი: თ. ერნსტი, ლემბი, ჰერჩი, მეტომო, ჩატო, ენგელარდტი, რიდლი, ზანდი, ბლანკი, ამანატიდისი, ჰალილ ალტინტოპი (მიკიჩი 84)
მწვრთნელი: ჰანს ვერნერ მოზერი
გაფრთხილება: ბაირამოვიჩი, ოლაიენგბეში, ბლანკი
მსაჯი: შიპელი
23 000 მაყურებელი

**მაინცი 2:4 ბაიერნი**

0:1 მაკაი (17), 1:1 აუერი (35), 1:2 ბალაკი (42), 2:2 ტიურკი (58), 2:3, 2:4 მაკაი (82, 89)
მაინცი: ვეტკლო, აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი (კეისი 87), ბაბაცი (ნ. ვაილანდი 63), ბალიტჩი, და სილვა (დ. ვაილანდი 77), ტიურკი, ფ. გერბერი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ (სალიჰამიჯიჩი 46), დაისლერი (იერემისი 88), დემიკელისი, შვაინსტაიგერი, ბალაკი, შოლი (ჰაშემიანი 85), მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ფრიდრიხი
მსაჯი: ვაგნერი
20 300 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ჰანოვერი**

1:0 კურანი (88)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბ. ჟივკოვიჩი, მ. ბაბელი, ლამი, სოლდო, ტიფერტი (შტრელერი 64), შტრანცლი, ა. გლები, კურანი (დელპიერი 90), კაკაუ (ელსონი 81)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, დე გუცმანი (ჰალფარი 69), ლალა, კრუპნიკოვიჩი, შრიოტერი, სტაინერი, ბარნეტა (თ. კრისტიანსენი 77)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: კურანი, შტრანცლი, სტაინერი
მსაჯი: ბრიხი
45 000 მაყურებელი

**ჰერტა 3:1 ვოლფსბურგი**

0:1 პეტროვი (17), 1:1 ფრიდრიხი (63), 2:1 მარსელინიო (81პ), 3:1 მადლუნგი (88)
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი (ნოინდორფი 62), ნ. კოვაჩი, ტ. მარქსი (ვიშნიარეკი 46), ბაშთურქი, ჟილბერტო, მარსელინიო, რაფაელი (მადლუნგი 79)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ვოლფსბურგი: იენჩი, თ. რიტერი, ჰოფლანდი (კარჰანი 79), ფრანცი, შნოორი, ტიამი, შარპეი, ფიშერი (ტ. მარიჩი 84), მ. პეტროვი, კლიმოვიჩი (მაკიადი 66), ბრდარიჩი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ფრიდრიხი, კლიმოვიჩი
მსაჯი: კირხერი
58 075 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:0 ჰანზა**

1:0 ბერბატოვი (27), 2:0 ვორონინი (58), 3:0 ბერბატოვი (88)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, კასტრო, კალსენ-ბრაკერი, ჟუანი, დუმი, რამელო, ბაბიჩი, ფრაიერი, კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰანზა: შობერი, ჰარტმანი, მიორლე, პერსონი, თ. რასმუსენი (ოლბოკი 62), ლანცი, სებასტიანი, რიდლევიჩი, ლიტმანენი, პრიკა (ვორბეკი 68), დი სალვო (არვიდსონი 62)
მწვრთნელი: იორგ ბერგერი
გაფრთხილება: კასტრო, რამელო, ჰარტმანი, ვორბეკი, პერსონი
მსაჯი: შტარკი
22 500 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:1 ბოხუმი**

1:0 დაუნი (21), 2:0 მინტალი (84), 2:1 მაიხელბეკი (90)
ნიურნბერგი: შეფერი, დ. რაინჰარდტი, ნიკლი, ჰაიტო, ლ. მიულერი, ვაგეფელდი, ლარსენი (ლაგერბლომი 63), მინტალი, ს. მიულერი, დაუნი (ბანოვიჩი 82), შროტი (კესლინგი 76)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ბოხუმი: სკოვ-იენსენი, კოლდინგი (მისიმოვიჩი 59), კნავსი, მალტრიცი, მაიხელბეკი, პროისი, ცდებელი, ბეკმანი (დიაბანგი 46), ვოში, ლოკვენცი, ედუ
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ლარსენი, ბეკმანი, კნავსი
მსაჯი: მერკი
35 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:0 გლადბახი**

ჰამბურგი: ვიახტერი, ბენჯამინი, ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბილი (ტროხოვსკი 60), ვიკი, იაროლიმი (ბ. რაინჰარდტი 86), ბაინლიხი, ბარბარესი, ე. მპენზა, ტაკაჰარა (კუჩუკოვიჩი 78)
მწვრთნელი: თომას დოლი
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ფუკალი (კორჟინეცი 69), ვან კერკჰოვენი, ჯ. შტრასერი, იანსენი, კლუგეტიისი, ბროიხი (ულიხი 85), დაემსი, ნოივილი (კ. მური 89), ვან ჰუტი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
გაფრთხილება: ვიკი, ბარბარესი, ბენჯამინი, შტრასერი, ფუკალი
მსაჯი: ფანდელი
45 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:0 ვერდერი**

1:0 როსიცკი (32)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კ. მეცელდერი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, ს. კელი, როსიცკი, კრინგე, ევერტონი, კოლერი, შმოლარეკი (რიკენი 81)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ისმაელი, პასანენი (მ. ზიდანი 79), მანინი, დ. იენსენი (ჰუნტი 75), ფ. ერნსტი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 45)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: როსიცკი, ბოროვსკი
მსაჯი: ფროილიხი
80 000 მაყურებელი

# მაკაი ჰეთ თრიქმა დააოკა

## ოჰ, ეს ბრაზილიელები...



არმინია — შალკე. აილტონს გოლის გატანა პირველმა ლევან კობიაშვილმა მიულოცა

**გელზენკირხენის** „შალკემ" ბილეფილდში დაგეგმილი სამი ქულა აილო და ჯერჯერობით მეორე ადგილი შეინარჩუნა. რალფ რანგნიკი მოგებას ისევ თავის ბრაზილიელ ლეგიონერებს უნდა უმადლოდეს — შეხვედრის დებიუტში ლინკოლნის აქტიურობას მასპინძელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი მოჰყვა, რომელიც თავად დაზარალებულმა აქცია გოლად, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე კი თავი აილტონმა გამოიჩინა.

ისიც ვთქვათ, რომ მატჩი საკმაოდ უხეში გამოდგა. ამაზე რვა ყვითელი ბარათიც მეტყველებს: აქედან ერთი, ჩვენებურმა ლევან კობიაშვილმა მიიღო, რომელიც ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ჰყავდა რანგნიკს გამწესებული და ურიგოდ არ უთამაშია.

ძალიან გაუჭირდა „შტუტგარტს". არადა, მათიას ზამერის გუნდი უმოტივაციო „ჰანოვერს" მასპინძლობდა და გამარჯვება აუცილებლად ესაჭიროებოდა.

შტუტგარტელები მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ მათ ქმედებებში ნერვიულობა აშკარად იგრძნობოდა. ამ დაძაბულობამ მასპინძლებს კინაღამ ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დააკარგვინა, მაგრამ ბოლო წუთებზე „ჰანოვერს" მაინც გამოჰგლიჯეს გამარჯვება — 88-ე წუთზე ანდრეას ჰინკელის გრძელი პასი კევინ კურანიმ შეირგო და „გოტლიბ დაიმლერ შტადიონზე" შეკრებილი ქომაგი უზომოდ გაახარა.

დაძაბული და ამავე დროს ლაღი გამოდგა მატჩი ბერლინში. მარტინ პეტროვის მშვენიერი გოლით „ვოლფსბურგმა" პირველი ტაიმი მოიგო, მაგრამ სტუმრებმა „ჰერტას" დაწოლას ბოლომდე ვერ გაუძლეს. ანგარიში დედაქალაქელთა მცველმა არნე ფრიდრიხმა გაათანაბრა. შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კი ტრადიციულად აქტიური მარსელინიოს თამაშს პენალტი და ბრაზილიელის სეზონში მე-18 გოლი მოჰყვა. საბოლოო წერტილი შესვლაზე შესულმა ალექსანდრ მადლუნგმა დასვა.

ტურის ცენტრალური მატჩად მიჩნეულ „ნიურნბერგისა" და „ბოხუმის" მატჩში კი კვლავ მასპინძელთა სლოვაკმა ვარსკვლავმა, მარეკ მინტალმა გაიბრწყინა. მან ჯერ მარკუს დაუნს გაატანინა, ხოლო ბოლოს თავადაც იხეირა და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირთა სიას კვლავაც დამაჯერებლად ლიდერობს.

პეტერ ნოირურერის გუნდმა კი ამ წაგებით, ფაქტიურად, ოფიციალურად გაიფორმა მეორე ბუნდესლიგის საგზური.

შავ დღეშია „ჰანზაც", რომელიც „ბაიარენაზე" განადგურდა: როსტოკელთა რწევა მასპინძელთა ბულგარელმა ლეგიონერმა დიმიტარ ბერბატოვმა დაიწყო და დაასრულა. ამ გოლებს შორის კი უკრაინელმა ანდრეი ვორონინმაც იხეირა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პირველი გოლი ვორონინ-რამელოვ-ბერბატოვის ჩინებულ კომბინაციას მოჰყვა. განსაკუთრებით კი უკრაინელის კარგი პასია გამოსარჩევი. 58-ე წუთზე, ახლა უკვე ბერბატოვმა არ დაუკარგა გარჯა პარტნიორს და თავად მოამარაგა საგოლე გადაცემით.

მიუნხენის „ბაიერნმა" კი, რომელიც უკვე ბუნდესჩემპიონია და შედარებით ექსპერიმენტული შემადგენლობით თამაშობდა, „მაინცი" მაინც არ დაინდო და საკმაოდ იოლად დაამარცხა. მასპინძლებმა ბევრი იწვალეს და ორჯერ ანგარიშიც გაათანაბრეს, მაგრამ ჩინებულად მოთამაშე როი მაკაი მაინც ვერ დააოკეს — სტუმართა ჰოლანდიელმა ფორვარდმა სეზონში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და ჰეთ თრიქი შეასრულა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კი დამარცხებული „მაინცი" კმაყოფილი იყო, რადგანაც წაგების მიუხედავად, ბუნდესლიგაში ადგილი ოფიციალურად გაინაღდა.

**გიორგი ქაქაბაძე**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 32 | 22 | 5 | 5 | 66:29 | 37 | 71 | 16 | 13 | 2 | 1 | 38:11 | 27 | 41 | 16 | 9 | 3 | 4 | 28:18 | 10 | 30 |
| 2 შალკე | 32 | 19 | 3 | 10 | 52:42 | 10 | 60 | 16 | 11 | 2 | 3 | 32:22 | 10 | 35 | 16 | 8 | 1 | 7 | 20:20 | 0 | 25 |
| 3 შტუტგარტი | 32 | 17 | 7 | 8 | 53:35 | 18 | 58 | 16 | 12 | 2 | 2 | 33:12 | 21 | 38 | 16 | 5 | 5 | 6 | 20:23 | -3 | 20 |
| 4 ჰერტა | 32 | 15 | 11 | 6 | 59:31 | 28 | 56 | 16 | 8 | 7 | 1 | 34:13 | 21 | 31 | 16 | 7 | 4 | 5 | 25:18 | 7 | 25 |
| 5 ვერდერი | 32 | 16 | 5 | 11 | 62:35 | 27 | 53 | 16 | 8 | 4 | 4 | 29:14 | 15 | 28 | 16 | 8 | 1 | 7 | 33:21 | 12 | 25 |
| 6 ლევერკუზენი | 32 | 15 | 8 | 9 | 58:41 | 17 | 53 | 16 | 11 | 3 | 2 | 37:17 | 20 | 36 | 16 | 4 | 5 | 7 | 21:24 | -3 | 17 |
| 7 ჰამბურგი | 32 | 16 | 3 | 13 | 54:47 | 7 | 51 | 16 | 9 | 1 | 6 | 27:21 | 6 | 28 | 16 | 7 | 2 | 7 | 27:26 | 1 | 23 |
| 8 დორტმუნდი | 32 | 13 | 10 | 9 | 43:42 | 1 | 49 | 16 | 7 | 5 | 4 | 22:17 | 5 | 26 | 16 | 6 | 5 | 5 | 21:25 | -4 | 23 |
| 9 ვოლფსბურგი | 32 | 14 | 2 | 16 | 45:48 | -3 | 44 | 16 | 10 | 0 | 6 | 33:18 | 15 | 30 | 16 | 4 | 2 | 10 | 12:30 | -18 | 14 |
| 10 ლაუტერნი | 32 | 12 | 6 | 14 | 40:47 | -7 | 42 | 16 | 8 | 2 | 6 | 19:19 | 0 | 26 | 16 | 4 | 4 | 8 | 21:28 | -7 | 16 |
| 11 ჰანოვერი | 32 | 12 | 5 | 15 | 32:35 | -3 | 41 | 16 | 7 | 2 | 7 | 19:18 | 1 | 23 | 16 | 5 | 3 | 8 | 13:17 | -4 | 18 |
| 12 არმინია | 32 | 11 | 6 | 15 | 35:46 | -11 | 39 | 16 | 7 | 3 | 6 | 20:19 | 1 | 24 | 16 | 4 | 3 | 9 | 15:27 | -12 | 15 |
| 13 ნიურნბერგი | 32 | 10 | 8 | 14 | 51:55 | -4 | 38 | 16 | 4 | 6 | 6 | 24:23 | 1 | 18 | 16 | 6 | 2 | 8 | 27:32 | -5 | 20 |
| 14 მაინცი | 32 | 10 | 7 | 15 | 45:52 | -7 | 37 | 16 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 6 | 27 | 16 | 2 | 4 | 10 | 20:33 | -13 | 10 |
| 15 გლადბახი | 32 | 8 | 11 | 13 | 34:46 | -12 | 35 | 16 | 8 | 4 | 4 | 26:21 | 5 | 28 | 16 | 0 | 7 | 9 | 8:25 | -17 | 7 |
| 16 ბოხუმი | 32 | 7 | 8 | 17 | 44:68 | -24 | 29 | 16 | 5 | 5 | 6 | 28:29 | -1 | 20 | 16 | 2 | 3 | 11 | 16:39 | -23 | 9 |
| 17 ჰანზა | 32 | 7 | 8 | 17 | 29:62 | -33 | 29 | 16 | 4 | 4 | 8 | 16:30 | -14 | 16 | 16 | 3 | 4 | 9 | 13:32 | -19 | 13 |
| 18 ფრაიბურგი | 32 | 3 | 9 | 20 | 27:68 | -41 | 18 | 16 | 2 | 6 | 8 | 16:28 | -12 | 12 | 16 | 1 | 3 | 12 | 11:40 | -29 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მინტალი (ნიურნბერგი) | 23 |
| მაკაი (ბაიერნი) | 19 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 18 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 17 |
| ბაკლი (არმინია) | 15 |
| კლოზე (ვერდერი) | 15 |

### XXXIII ტური

14-15 მაისი

| | |
|---|---|
| მაინცი | ლაუტერნი |
| ვერდერი | ფრაიბურგი |
| შალკე | დორტმუნდი |
| ჰანზა | არმინია |
| ვოლფსბურგი | ლევერკუზენი |
| გლადბახი | ჰერტა |
| ჰანოვერი | ჰამბურგი |
| ბოხუმი | შტუტგარტი |
| ბაიერნი | ნიურნბერგი |

### II ბუნდესლიგა

XXXII ტური

**კიოლნი 1:2 ტრირი**

0:1 პეკოვიჩი (41), 1:1 პოდოლსკი (69), 1:2 პაჩინსკი (85)

**დინამო 1:0 აუე**

1:0 ლავრიჩი (21)

**კარლსრუე 2:0 ერფურტი**

1:0 შტოლი (7), 2:0 კაპლანი (46)

**ბურგჰაუზენი 0:0 კოტბუსი**

**მიუნხენი 3:0 ალემანია**

1:0 მილჩრაუმი (24), 2:0 ვუჩიჩევიჩი (60), 3:0 კოლომაჟნიკი (63)

**ობერჰაუზენი 2:2 ალენი**

0:1 მიკოლაიჩაკი (3), 1:1 რიტპიჩი (4), 1:2 მიკოლაიჩაკი (68), 2:2 იზეპონი (90)

**ესენი 0:2 ფიურტი**

0:1 ტიმი (83), 0:2 როსლერი (84)

**ზაარბრიუკენი 0:1 უნტერჰახინგი**

0:1 კ. შტრასერი (85)

**აინტრახტი — დუისბურგი**

დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 32 | 18 | 7 | 7 | 57:33 | 61 |
| დუისბურგი | 31 | 17 | 5 | 9 | 45:29 | 56 |
| აინტრახტი | 31 | 17 | 4 | 10 | 59:38 | 55 |
| მიუნხენი | 32 | 14 | 12 | 6 | 46:33 | 54 |
| ფიურტი | 32 | 16 | 5 | 11 | 48:39 | 53 |
| ალემანია | 32 | 15 | 6 | 11 | 57:36 | 51 |
| ბურგჰაუზენი | 32 | 14 | 9 | 9 | 46:46 | 51 |
| აუე | 32 | 14 | 5 | 13 | 46:39 | 47 |
| დინამო | 32 | 13 | 4 | 15 | 42:50 | 43 |
| ზაარბრიუკენი | 32 | 11 | 6 | 15 | 43:47 | 39 |
| უნტერჰახინგი | 32 | 12 | 3 | 17 | 37:43 | 39 |
| კოტბუსი | 32 | 10 | 9 | 13 | 33:42 | 39 |
| ტრირი | 32 | 9 | 11 | 12 | 36:48 | 38 |
| კარლსრუე | 32 | 9 | 10 | 13 | 39:44 | 37 |
| ალენი | 32 | 8 | 9 | 15 | 35:45 | 33 |
| ესენი | 32 | 6 | 15 | 11 | 34:47 | 33 |
| ერფურტი | 32 | 8 | 9 | 15 | 35:55 | 33 |
| ობერჰაუზენი | 32 | 7 | 9 | 16 | 37:61 | 30 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XXXIV ტური

ბრაუნშვაიგი — ჰამბურგი (მ) 3:1; დიუსელდორფი — დორტმუნდი (მ) 1:1; ლიუბეკი — არმინია (მ) 3:2; ქემნიცი — პადერბორნი 0:0; ვერდერი (მ) — უნიონი 2:1; მიუნსტერი — ზანკტ პაული 2:0; ვოლფსბურგი (მ) — ოსნაბრიუკი 2:3; იურდინგენი — კიოლნი (მ) 2:3; ჰერტა (მ) — კილი 2:2

### სამხრეთ რეგიონალლიგა

XXX ტური

ზიგენი — ელვერსბერგი 2:0; შტუტგარტი (მ) — ნოტინგენი 1:0; ვეჰენი — მიუნხენი (მ) 3:0; ბაიერნი (მ) — ჰოფენჰაიმი 2:0; პფულენდორფი — კიკერსი 1:4; აუგსბურგი — ოფენბახი 1:1; კობლენცი — მაინცი (მ) 0:0; აალენი — ფიორტი 0:2; დარმშტადტი — რეგენსბურგი 1:1

## იტალია

### სერია A. XXXV ტური

**მილანი 0:1 იუვენტუსი**

0:1 ტრეზეგე (28)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო (სერჯინიო 46), ზეედორფი (რუი კოშტა 66), კაკა, შევჩენკო, ტომასონი (ფ. ინძაგი 55)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
იუვენტუსი: ბუფონი, პესოტო, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (ბირინდელი 60), ემერსონი, აპია (ბლაზი 80), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (ზალაიეტა 76)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ნესტა, ძამბროტა, ემერსონი, ბლაზი
მსაჯი: კოლინა
80 000 მაყურებელი

**ბრეშა 0:3 ინტერი**

0:1, 0:2 მარტინსი (54, 66), 0:3 ვიერი (90)
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, ძობოლი, დომიცი, სტანკევიჩიუსი (სკული 55), მილანეტო, დ. ბერეტა (ვონლანტენი 46), ვომე, შოპი (მანინი 61), კარაჩოლო
მწვრთნელი: ატილიო დოლჩეტი
**დინამო:** გამყრელიძე (4), ხეცურიანი (21), ბ. ბერიშვილი (8), ჩხატარაშვილი (7), კილაძე (1); ლაფანაშვილი (8), კვიმსაძე (13), ვ. მაისურაძე (3), პავლიაშვილი (2), ბექაური (5), კოლუაშვილი (2), ლოსაბერიძე, სუხიშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**...მეორე** ტაიმი ერთი წუთის განახლებული იყო, ნოდარ ბექაურმა სამქულიანი რომ მოინადირა და „დინამო“ „სტუ-ჯეოსელს“ 5 ქულით მიაახლოვა. დიდი რამეო, ალბათ იტყვით. მერედა ამ ამბავში რა არის ისეთი საინტერესო, წერილს ამით რომ იწყებთო.

ეს ეპიზოდი იმიტომ გამოვარჩიეთ, რომ ამაზე დაძაბული მომენტი „დინამო“ — სტუ-ს ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩში არ ყოფილა. ტექნიკოსებმა ერთი ამოსუნქთვით, დიდოსტატურად დაამარცხეს ზურაბ ტომარაძის გუნდი და ფინალში „ავიამშენს“ შეუწყვილდნენ.

ყველა დიდი ჯახის მოლოდინში იყო. სერიის ანგარიში თანაბარი გახლდათ და გამარჯვებას ფინალის ფასი ედო. თან წინა ორ მატჩში ორივე გუნდმა მორიგეობით ცხადყო, რომ მეტოქეს არაფერში ჩამოუვარდებოდა: ჯერ სტუ-მ იმარჯვა გაურთულებლად, მერე კი „დინამომ“ სრული სიმშვიდით გაათანაბრა სერიის ანგარიში.

ჰოდა, ასეთი წინასამატჩო ვითარებიდან გამომდინარე, ტრიბუნებზე შეკრებილები საინტერესო ბრძოლის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდნენ, მაგრამ...

დაიწყო თამაში და მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი, „სტუ-ჯეოსელი“ თამაშობდა — იმას, რასაც „დინამო“ საწყის 5 წუთში უჩვენებდა, თამაში არ ერქვა.

სტუ-მ პირველივე წამებიდან შტურმი მოუწყო „დინამოს“, რაკი ამ ნახევარფინალური სერიის მატჩების სტატისტიკა უბიძგებდა ამისკენ. წინა ორ შეხვედრაში იმ გუნდს დარჩა გამარჯვება, რომელმაც დებიუტში იყოჩაღა. თანაც ტექნიკოსებმა პრესკონფერენციაზეც თქვეს, თუკი თამაში წაგვიგია, ყოველთვის საწყის წუთებში გამოჩენილი უნიათობის გამო. თუ კარგად დავიწყებთ თამაშს, იმ შეხვედრას ძირითადად არ ვაგებთო.

ჰოდა, გუშინაც ამ ტაქტიკით მომართულები გამოვიდნენ მოედანზე სტუდენტები. მათ დინამოელებს მჭიდრო დაცვა და ელვისებური კონტრშეტევები დაუპირისპირეს და სანამ მეტოქე გონზე მოვიდოდა, 20:0(!) დაწინაურდნენ.

იკითხავთ, რა მოხდა ასეთი, სტუ-მ ამხელა უპირატესობა რომ დაიბევა, „დინამო“ ბუმბულს ბდღვნიდა მოედანზეო? ისეთიც არაფერი, ორივე გუნდი უტევდა, მაგრამ დინამოელები სასწაულებრივად აცილებდნენ რაგინდარა დისტანციებიდან და განსაკუთრებით ფარქვეშიდან, სტუ კი პერიმეტრიდანაც წარმატებით ბომბავდა მეტოქის კალათს და სამწამიანიდანაც.

სტუ-მ რომ თავიდანვე სისწრაფეზე აიღო აქცენტი, სასტარტო ხუთეულის დაკომპლექტებიდანაც გამოჩნდა. ტექნიკოსთა თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა სტანდარტულად კი არ გაანაწილა ხუთეულში მოთამაშეები, არამედ აქცენტი სწრაფ და მოქნილ კალათბურთელებზე აიღო. კერძოდ, მან ნომინალური ცენტრის გარეშე დაიწყო „დინამოსთან“ ბრძოლა — ხუთეულში ირაკლი ჯაფარიძის ადგილი ფეხმარდმა, თუმც ფარქვეშ ჯიგრიანად ბრძოლის მცოდნე ირაკლი კეიდიამ დაიკავა. ამ გადაადგილებით სტუ-მ უარი თქვა ცენტრზე აწყობილ თამაშზე და მთელი რესურსი უკანახაზელთა სისწრაფეზე, უფრო ზუსტად კი, ელვისებურ კონტრშეტევებზე მიმართა.

სტუდენტები კონტრშეტევებსაც წარმატებით ახორციელებდნენ და შორიდანაც მიზანში არტყამდნენ. სხვაობა თვალის დახამხამებაში იზრდებოდა, ოღონდ მხოლოდ სტუ-ს სასარგებლოდ, „დინამო“ კი ნულზე იყო 5 წუთის განმავლობაში გაყინული და მანამ ვერ გახსნა ანგარიში, სანამ ლაშა გამყრელიძე საჯარიმოს ხაზზე არ დადგა — 1:20.

ტომარაძეს გულით უნდოდა, თავისი გუნდის თამაშში სასიკეთო ცვლილებები შეეტანა, მაგრამ ამას ვერაფრით ახერხებდა. შეცვლაზე შესული სნაიპერები — ლექსო ლაფანაშვილი და ნოდარ ბექაური ამაოდ დაშვრნენ. მათ სროლის შანსიც კი არ მისცემიათ.

„დინამოს“ ჰყავდა ცენტრალური თავდამსხმელი ვალერი კილაძე, რომელზეც თამაში ვერ ააგო. ირაკლი კეიდია სეხნია შანიძეს ფარქვეშ რიგიანად ეხიდებოდა და ვერც ამ მიდამოებში მოიპოვა უპირატესობა „დინამომ“.

ის კი არა, კეიდიამ ფარქვეშიდან იმდენი ბურთი ჩააგდო, ნებისმიერ ცენტრს შეშურდებოდა. „კედო“ მოხსნებსაც ბლომად იხვეჭდა და პასებსაც მახვილგონივრულად არიგებდა.

ერთი სიტყვით, ამ ახალგაზრდამ დიდი სამსახური გაუწია სტუ-ს გვარიანი ლიდერობის მოპოვებასა და შემდეგ მის შენარჩუნებაში.

თავში ნახსენები ეპიზოდი კი „დინამოს“ ერთადერთი გაბრწყინება იყო ამ მატჩში. იგი იმ შედეგიანი თამაშის გაგრძელება გახლდათ, რომელიც „დინამომ“ პირველი ტაიმის მიწურულს წამოიწყო და მეორეშიც გადაჰყვა.

მეორე მეოთხედის მეორე ნახევარში „დინამოს“ ერთფეროვანმა ტაქტიკამ, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო. ტომარაძის შეგირდები ფარქვეშ შესვლას ეძალებოდნენ, მაგრამ მეტოქის ხისტი დაცვის გამო მიზანს აცილებდნენ. ამ ეპიზოდში კი შიო ხეცურიანმა რამდენჯერმე სტუ-ს ფარი წარმატებით დალაშქრა, რასაც დინამოელთა პირველი სამქულიანიც მოჰყვა და ვიცე-ჩემპიონები 14-ქულიანი დეფიციტით გავიდნენ დიდ შესვენებაზე.

მეორე ტაიმის საწყისი ერთი წუთი კი დიდებულად გალიეს დინამოელებმა. ლექსო ლაფანაშვილმა და ბუბა კვიმსაძემ 9 უპასუხო ქულა ჩაუგდეს სტუ-ს და „დინამო“ 5 ქულასღა აგებდა — 53:58.

სტუ-ს თავკაცმა, რა თქმა უნდა, წუთშესვენება აიღო და ზუსტი ტაქტიკური გადაადგილებით თავის გუნდს კვლავ მოაპოვებინა უპირატესობა. ჭეიშვილმა ახალშემოსული ირაკლი ჯაფარიძის ნაცვლად მოედანზე გიორგი გაგნიძე გამოიყვანა. ანუ ცენტრის ნაცვლად თამაშში უკანახაზელი, კონკრეტულად კი მტყორცნელი ჩართო და არც წაუგია. „დინამომ“ ხომ ის უპირატესობა, რომლითაც სხვაობა მნიშვნელოვნად შეამცირა, უკანახაზელთა აქტიურობით მოიპოვა. გაგნიძემ კი ამ რგოლში ძალები დააბალანსა, ხოლო სტუ რომ უცენტროდ ისედაც ჩინებულად თამაშობდა, მანამდეც გამოჩნდა და ჯაფარიძის გასვლას უარყოფითად არ უმოქმედია სტუდენტებზე.

...გიორგი მარკოიშვილმა ზუსტი სამქულიანით რვა ქულამდე გაზარდა სტუ-ს ლიდერობა და დინამოელთა კვლავ უსაშველოდ ჩამორჩენას დაუდო სათავე. რაკი მეტოქის უკანახაზელები გაუვნებელდნენ, თამაში საკუთარ თავზე უკვე გამოცდილმა რამაზ გოგობერიშვილმა აიღო. ის და ირაკლი კეიდია მონაცვლეობით, თითქმის უშეცდომოდ აგვირგვინებდნენ სტუ-ს ყოველ შეტევას და საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე ტექნიკოსთა 20-ქულიანი ლიდერობა აღდგა.

აქ კი „დინამო“ საბოლოოდ გატყდა და როცა მოედანზე სათადარიგოები გამოჩნდნენ, ისედაც ცნობილი მთლად გაცხადდა — „სტუ-ჯეოსელმა“ გაიმარჯვა.

მაშ ასე, ფინალისტები ცნობილნი არიან. იქით „ავიამშენი“, აქეთ „სტუ-ჯეოსელი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ტექნიკოსები მრავალგზის ბრინჯაოსნები არიან და ერთხელ ვერცხლსაც შესწვდნენ. „ავიამშენი“ კი, მოგეხსენებათ, შარშან შეიქმნა და, როგორც ხედავთ, ეგრევე ჩემპიონობას უტევს.

ფინალური სერია სამ გამარჯვებამდეა და იგი 12 მაისს, 17 საათზე დაიწყება.



გიორგი მარკოიშვილი (ბურთით) დინამოელი ნიკა ჩხატარაშვილის წინააღმდეგ (№15)

---

## ევროლიგა

### ნახევარფინალები

6 მაისი. ნახევარფინალები

**მაკაბი 91:82 პანათინაიკოსი**

**ცსკა 75:85 ტაუ**

მატჩი მესამე ადგილისთვის

**ცსკა 91:94 პანათინაიკოსი**

ფინალი

**მაკაბი 90:78 ტაუ**

# დათვი ორჯერ დაიტორა

**აი,** არაკი და უდიდესი სენსაცია: მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთხელ ჩამუხლული მოსკოვის ცსკა საკუთარ ქალაქში მარცხდება ესპანურ „ტაუსთან“ და ევროპის უპრესტიჟულესი ტიტულისთვის ბრძოლას ნახევარფინალიდან ეთიშება.

არადა, ყველას ეგონა, რომ ცსკა ევროლიგას მოიგებდა, არმიელები კი ფინალშიც ვერ გავიდნენ. თავად საფუძველი, რომ ხალხს ცსკა-ს ჩემპიონობა ევარაუდა, საკმარისზე მეტი იყო. მოსკოველებმა ამ საბედისწერო ნახევარფინალამდე 21 მატჩი გამართეს ევროლიგაში და მხოლოდ ერთხელ, ისიც არაფრისმომცემ მატჩში წააგეს საშუალო გაქანების „სკავოლინისთან“. რუსეთის ჩემპიონატსა და თასზე ლამის ორი ამდენი შეხვედრა ითამაშეს და ყველაში იმარჯვეს. ევროლიგის მოგება ამ ბრწყინვალე სეზონის ჩინებული დაგვირგვინება იქნებოდა და საამისოდ ვითარებაც „არმიული“ იყო — ოთხთა ფინალი ცსკა-ს მშობლიურ მოსკოვის უნივერსალურ სპორტკომპლექსში იმართებოდა.

ვაგლახ, არ გაუმართლათ არმიელებს და ოთხთა ფინალის თანმდევი ზეიმი ერთგვარ გლოვად აქციეს. მოსკოვის 12-ათასიან დარბაზში მხოლოდ 1000 ესპანელი ქომაგი იყო, აბსოლუტურ უმეტესობას კი რუსები, ცსკა-ს დიად გამარჯვებაში დარწმუნებული ვანია-ნატაშკები წარმოადგენდნენ. მასპინძელთა მოლოდინმა არ გაამართლა — ათი ათას ჩექმიანს ათასმა სომბრეროიანმა აჯობა, „ტაუმ“ რუსული დათვი მისსავე ბუნაგში დატორა.

ბოლო ორ წელიწადში ცსკა-ს ოთხივე შეხვედრაში ეჯობნა „ტაუსთვის“ და იმ მატჩების ბედი მეტად დაძაბულ ბრძოლებში გადაწყდა. ამჯერად ბასკურმა გუნდმა შური იძია მოსკოველებზე და თან ისეთ პრინციპულ მატჩში, წაგება რომ ტრაგედიის ტოლფასია.

დიახ, ცსკა-ს დიდი მარცხი დაატყდა თავს და წუხელ მესამე ადგილისთვის მატჩიც დათმო მეორე ნახევარფინალში „მაკაბისთან“ დამარცხებულ „პანათინაიკოსთან“. ეს თამაში დაძაბულობით ფინალს უფრო დაამშვენებდა, რადგან გამარჯვებულის გამოვლენას ორი ოვერტაიმი დასჭირდა.

აი, ფინალი კი არცთუ დაძაბული გამოდგა. განწყობაც არ იყო შესაფერისი. ხალხს, მეტადრე ცსკა-ს გულშემატკივრებს, იმ განწყობით შეეძინათ ფინალის ბილეთები, რომ იქ საკუთარი გუნდის თამაშს ნახავდნენ, მოედანზე კი ებრაულ-ესპანური ჯახი გაიმართა.

მოქმედმა ჩემპიონმა „მაკაბიმ“ დინჯად, ნება-ნება მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე და ევროპაში კვლავ უძლიერესის სახელით სარგებლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA PLAY OFF 2005

# კიდევ შევხვდებით

## ინდიანამ დეტროიტი გამოიწვერა



დეილ დევისის „ინდიანა" გერი პეიტონის „ბოსტონს" დაახტა

### აღმოსავლეთი

6 მაისი

ჩიკაგო 2:4 ვაშინგტონი

**ვაშინგტონი 94:91 ჩიკაგო**

ვაშინგტონი: არენასი (19), ჰიუზი (21), ჯემისონი(19), ჯეფრისი (12), ჰეივუდი (13); დიქსონი (7), რუფინი (3), ტომასი, ბლეიკი

ჩიკაგო: ჰაინრიხი (22), გორდონი, ნოჩონი (22), დევისი (6), ჰარინგტონი; ჩანდლერი (14 ქულა, 11 მოხსნა), პარგო (11), გრიფინი (9), დუჰონი (5), ფანდერბურკი (2)

**მატჩის** დამთავრებამდე სამი წუთიც არ რჩებოდა, ჩიკაგოელი „ხარები" კი 91:87 უგებდნენ ვაშინგტონელ „ჯადოქრებს" — სწორედ ამ დროს ჩიკაგოელთა პირველმექულე კირკ ჰაინრიხმა ლარი ჰიუზს ბურთი აალალა, მთელი მოედანი გადაკვეთა, ჩასაგდებად შეიმართა და... საიდანღაც გამოფრენილმა ჯილბერტ არენასმა დაუფარა და სწორედ აქ წააგო „ჩიკაგომ" თამაშიც და მთლიანად სერიაც.

რამდენიმე წამში ჰიუზმა ორ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა, მომდევნო შეტევაში ანთაუნ ჯემისონმა საერთოდ გაათანაბრა და დარჩენილ ორ წუთში „ჩიკაგოს" აღარც ჩაუგდია ბურთი. „ვაშინგტონი" კი 1982 წლის შემდეგ პირველად გავიდა მეორე წრეში.

„დიდი ხანი ვითვლებოდით ამ ლიგაში უიღბლოებად — თითქოს ვიღაცის ჯინაზე ამბობს ვაშინგტონელი ბრენდან ჰეივუდი — მე მგონი, ამ უსიამო იმიჯის მოშორების დრო დადგა. მწვრთნელებმა და მენეჯერებმა ბოლოს ერთ გუნდად შეგვკრეს საჭირო მოთამაშეები და ახლა ჩვენი წარმატება, მგონი, არავის უნდა გაუკვირდეს."

რაც შეეხება „ვაშინგტონის" ლიდერ ჯილბერტ არენასს, ნამატჩევს ის სიხარულისგან ცმუკავდა — „თითქოს მეორედ დავიბადე, დიდებული გრძნობაა. თავიდანვე ვიცოდით, რომ შორს წავიდოდით და აჰა, ჩვენი რწმენა ახდა."

შორსო, კი ამბობს არენასი, მაგრამ მაინც რამდენად შორს უნდა წასვლა? მეორე წრეში მის „ვიზარდსს" მონსტრი შაკილ ონილის „მაიამი ჰითი" ელის, ვისთანაც დედაქალაქელებმა რეგულარული ჩემპიონატის ოთხივე შეხვედრა წააგეს და მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმით ვერ გავლენ აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდთან საბრძოლველად.

7 მაისი

ბოსტონი 3:4 ინდიანა

**ბოსტონი 70:97 ინდიანა**

ბოსტონი: პეიტონი (7), ვესტი (4), პირსი (19), უოლკერი (20), ლაფრენცი; დევისი (8), ჯეფერსონი (7), პერკინსი (3), ალენი (2), ბანქსი, რიდი

ინდიანა: ტინსლი (6), მილერი (5), ჯექსონი (24), ონილი (15), დევისი (4); ფ. ჯონსონი (16), ფოსტერი (9 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), ჯ. ჯონსი (2), გილი (2), კროშერი (1)

**„ინდიანამ"** „ბოსტონთან" სერიის მეშვიდე და ორივესთვის გადამწყვეტი მატჩი ბოსტონშივე მოუგო „სელტიქსს" და მეორე წრეში „დეტროიტთან" სამომრად ხელები დაიკაპიწა. ამ ჯერზე რეჯი მილერი არაფერ შუაშია, ბებერმა მგელმა მხოლოდ 5 ქულა გააკეთა და თამამად ითქმის, „ინდიანამ" კლუბის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშის გარეშე მოიგოვო.

„ბოსტონი" ერთ კვირას მაგიდაზე შემორჩენილი ლიმონივით გამოწურული ჩანდა. მასპინძლებს არაფერი გამოსდიოდათ, ლიდერების პოლ პირსის და ანტუან უოლკერის ჩათვლით. ამათ კი აგროვეს ქულები, მაგრამ თავიდანვე ისე მოღვენთილები და გადაღლილები ჩანდნენ, ასეთ მოურჯულებელ მეტოქესთან ჭიდაობის თავი ნაღდად არ ჰქონდათ. „ბოსტონმაც" მხოლოდ პირველი ტაიმი გაძლო — დიდ შესვენებაზე სამქულიანი ჩამორჩენით გავიდა, მესამე მეოთხედიდან კი საკუთარი გადამწვანებული ტრიბუნების თვალწინ გამოფინა თეთრი ალამი.

„ინდიანა" პეისერზისთვის" კი, გუნდისთვის, რომელმაც გადაიტანა უმძიმესი სანქციები, ტრავმები და ლამის ნახევარი რეგულარული ჩემპიონატი განახევრებული შემადგენლობით გამოიარა — ყველაფერი ახლა იწყება. ერთხელაც შეგახსენებთ, ინდიანელები „დეტროიტ პისტონზს" ხვდებიან. სწორედ იმ „დეტროიტს" რომელთანაც შარშან აღმოსავლეთის ფინალი წააგეს, ამ შემოდგომას კი მის ქომაგებს ნბა-ს ისტორიაში ყველაზე ამაზრზენი ჩხუბი აუტეხეს და ამით მხოლოდ თავად დაზარალდნენ — მთელი სეზონით დაკარგეს იმ ჩხუბის „მთავარი გმირი", ნბა-ს საუკეთესო დამცველი რონ არტესტი.

დეტროიტში ატეხილი ჩხუბის კიდევ ერთი მონაწილე ჯერმენ ონილი 15-მატჩა დისკვალიფიკაციის და ტრავმის მოლევის შემდეგ თანდათან შედის ფორმაში და თითქოს უხარია კიდეც, დეტროიტში რომ უწევს დაბრუნდება — „მე ერთს გეტყვით, ძალიან მინდოდა დეტროიტში ჩასვლა ამ პლეი ოფში. დარწმუნებული ვარ, იმათაც არანაკლებ სურდათ ჩვენთან თამაში. მაშ, დეტროიტში მომავალ შეხვედრამდე!"

### დასავლეთი

7 მაისი

დალასი 4:3 ჰიუსტონი

**დალასი 116:76 ჰიუსტონი**

დალასი: ტერი (31), ფინლი (13), ჰოვარდი (21 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება), ნოვიცკი (14 ქულა, 14 მოხსნა), დამპიე (8); სტეკჰაუზი (9), არმსტრონგი (9), ჰენდერსონი (4), დანიელსი (3), ჰარისი (2), ბრედლი (2)

ჰიუსტონი: ვესლი (7), სურა, მაკგრეიდი (27 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), პადჯეტი (3), მინგი (33 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება); ჯეიმსი (4), ბერი (2), ბოუენი, ნორისი, მუტომბო

**დალასში** ბოლომდე დავიხარჯებიო, ამას ვიზამო, იმას ვიზამო... შინ მეექვსე თამაშის მოგების და სერიაში ანგარიშის 3:3 გათანაბრების შემდეგ ჩვეულ ქადილს კი მოჰყვა „ჰიუსტონის" მფრინავი ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი, მაგრამ...

გადამწყვეტ შეხვედრაში „თიმექს" ურიგოდ ნაღდად არ უთამაშია. თუმც ერთი წუთით დავივიწყოთ ეს ტრაბახა ვარსკვლავი და ანგარიშს შევხედოთ — „დალას მავერიკსმა" 40 ქულით გაანადგურა „ჰიუსტონ როკიტსი" და თავისთვის პლეი ოფების ყველა დროის რეკორდი, მეტოქისთვის კი ანტირეკორდი გამოაცხო. მაკგრეიდის ვერ დაბრალდება ყველაფერი, ვერც იაო მინგს, კალათბურთის ხუთი დამწყებისგან და დაახლოებით ერთი ამდენი სათადარიგო მოთამაშისგან შემდგარი გუნდი თამაშობს და არა ორი ვარსკვლავი. იმ დღეს მოედანზე გასული დანარჩენი რვა ჰიუსტონელის ანგარიშზე კი 16 ქულა (!), 16 მოხსნა, 8 პასი, 3 ჩაჭრა და კინკილა დაფარებაა. ასეთი დამხმარეებით ნბა-ში ვერც ერთი ვარსკვლავი ვერ გაფრინდება და ვერც მაკ-მინგი წავიდნენ შორს.

„დალასი" კი სწორედაც რომ ერთ გუნდად შეკრული, მეთოდურად ანადგურებდა „ჰიუსტონს" და თუმც ლიდერ დირკ ნოკიცკისგან ამ სერიაში ყველაზე ძუნწად მიიღო ქულები, მაინც 116 ქულა უმარჯვა მეტოქეს.

ამ გამარჯვებით „მავერიკსი" პლეი ოფების ისტორიაში გახდა მესამე გუნდი, რომელმაც სერიის ორი შინაური მარცხით დაწყების შემდეგ საბოლოოდ მოდრიკა მოწინააღმდეგე. ნოვიცკი და კომპანია მეორე წრეში შეხვდებიან რეგულარულ ჩემპიონატში საუკეთესო გუნდს და ამის გამო რაგინდარა შემხვედრთან მოედნის უპირატესობის მქონე „ფინიქს სანზს".

**კოტე ყორშია**





ჟუსტინ ენენ-არდენი

# ჟუსტინი ოცდამეორე ტიტულით დამძიმდა

QATAR TOTAT GERMAN OPEN

ბერლინი. თიხნარი

საპრიზო 1,3 მილიონი $

**მეოთხედფინალები**

ჟუსტინ ენენ-არდენი (12, ბელგია) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 6:2, 6:4; ნადია პეტროვა (6, რუსეთი) — ამელი მორეზმო (2, საფრანგეთი) 6:2, 6:3; პატი შნაიდერი (7, შვეიცარია) — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) 6:2, 6:2; ელენა იანკოვიჩი (13, სერბეთი) — ელენა ბოვინა (8, რუსეთი) 6:3, 6:3

**ნახევარფინალები**

ნადია პეტროვა — ელენა იანკოვიჩი 6:4, 6:7, 6:3; ჟუსტინ ენენ-არდენი — პატი შნაიდერი 6:0, 6:1

**ფინალი**

ჟუსტინ ენენ-არდენი — ნადია პეტროვა 6:3, 4:6, 6:3

**ბერლინის** თიხნარზე მოჩოგბურთალ ქალთა შორის გამარჯვებულის ვინაობა გუშინ, 8 მაისს გაირკვა. ბელგიელი ენენ-არდენი დიდი ხანია ჩოგანს მარჯვედ იქნევს და შედეგად ზედიზედ მეჩვიდმეტე გამარჯვებას მიაღწია. ფინალში რუსი ნადია პეტროვა დაუპირისპირდა და როგორც ბოლოხანს მომრავლებულ ჩაუქ რუს ქალმეჩოგნეებს სჩვევიათ, უბრძოლველად არაფერი დაუთმია.

სანამ ფინალზე მოგითხრობთ, ამათ მიერ გამოვლილ სატურნირო გზასაც გადავხედოთ. მეოთხედფინალებამდე რაც ხდებოდა, მკითხველს უკვე ეცოდინება და ამაზე არ შევჩერდებით.

მეოთხედფინალში ენენ-არდენმა ამქრის პირველოსანს, მარია შარაპოვას სძლია, პეტროვამ კი ფრანგი ამელი მორეზმო დაჩოგნა. დანარჩენ მეოთხედფინალებში შვეიცარიელმა პატი შნაიდერმა რუსი სვეტლანა კუზნეცოვა გამოისტუმრა ტურნირიდან, სერბმა ელენა იანკოვიჩმა კი კიდევ ერთ რუსთან, ელენა ბოვისთან გაიმარჯვა დაძაბულ ორთაბრძოლაში.

ნახევარფინალებში პეტროვა სერბს გადაეყარა, რომელმაც ბოვინაზე მარჯვე რუსთან ველარაფერი გააწყო, მიუხედავად იმისა რომ ცდა არ დაუკლია და მეორე სეტში ტაიბრეიკზე იმარჯვა კიდეც. შედეგად ფინალში რუსი გავიდა.

მეორე წყვილში ჟუსტინ ენენ-არდენმა პატი შნაიდერს შანსი არ დაუტოვა და ორ სეტში დაამარცხა, ფინალი კი მეტად გაწელილი აღმოჩნდა. წვიმამ თამაში სამჯერ შეაწყვეტინა მეჩოგნეებს, თუმცა ბოლოს გამოდარება ინება.

თამაში დაძაბული და კარგი საცქერი გამოდგა. შედეგად კი ბელგიელმა იმარჯვა სამ სეტში, ანგარიშით 6:4, 4:6, 6:3 და პირველობაც მოიგო. აქვე დავძინოთ, ეს ენენ-არდენის 22-ე საკარიერო ტიტულია.

**მასტერსერია**

რომი. თიხნარი

საპრიზო 1,87 მილიონი €

**მეოთხედფინალები**

რაფაელ ნადალი (5, ესპანეთი) — რადეკ შტეპანეკი (15, ჩეხეთი) 5:7, 6:1, 6:1; ანდრე აგასი (6, აშშ) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; გილერმო კორია (9, არგენტინა) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 3:6, 6:3, 6:3; დავიდ ფერერი (ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2, 3:6, 7:5

**ნახევარფინალები**

რაფაელ ნადალი — დავიდ ფერერი 4:6, 6:4, 7:5; გილერმო კორია — ანდრე აგასი 7:5, 7:6

**6, 7 და 8** მაისს კაცებმაც იქნიეს თიხნარზე ჩოგანი. ოღონდაც რომში. მეოთხედფინალებისა და ნახევარფინალების შედეგები თქვენს წინაშეა, ფინალი კი გუშინ მოგვიანებით დასრულდა და შედეგსაც „სარბიელის" მომდევნო ნომრიდან შეიტყობთ.

**ლადო ფულუკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე-თორმეტი

# ხარები პლეი ოფს რქებით მიაწვნენ



„ბულზის“ გამარჯვებაში მეტფილდის ლელოს წვლილიც დიდია

**საინტერესო** გამოდგა ზე-თორმეტის მეთერთმეტე ტური. პარასკევ-შაბათს 6 მატჩი გაიმართა. აქედან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი 3 შეხვედრაა. სამივე შაბათს გაიმართა, თუმც თანმიმდევრობით მივყვეთ და პარასკევის თამაშებით დავიწყოთ.

ოკლენდის „ბლუზს“ ნახევარფინალში მოხვედრის კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა ამისთვის „ჰარიკეინსი“ უნდა დაემარცხებინა“. „ლურჯთა“ გულშემატკივრებს უფრო იმიტომაც ეიმედებოდათ, რომ მატჩი მათ მშობლიურ სტადიონზე იმართებოდა. ბევრს ეცადა დაგ ჰაულეთი თანაგუნდელებთან ერთად, თუმცა ახალი ზელანდიის ნაკრებისა და „ჰარიკეინსის“ კაპიტანმა, ტანა უმაგამ გაიბრწყინა და თამაშიც სტუმართა სასარგებლოდ — 10:22 დამთავრდა.

იმავე დღეს „ვარატასმა“ ქუინსლენდის „რედსი“ ანგარიშით 27:8 დაამარცხა და თავი ნახევარფინალში დაიგულა.

ტურის ცენტრალური შეხლა დუნედინში „ჰაილენდერსსა“ და „კრუზეიდერს“ შორის მოხდა. მასპინძლებმა ღირსეულად იბრძოლეს, თუმცა მეორე ტაიმში „ჯვაროსანმა“ ჯასტინ მარშალმა ისე ითამაშა, რომ სტუმართა გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. „კრუზეიდესმა“ მარშალის ჩაუქრობით 18:27 მოიგო.

ბევრს აინტერესებდა სამარცხვინოდ მობურთალი ჩემპიონი „ბრამბისი“ როდის შეწყვეტდა წაგებათა სერიას.

შეგახსენებთ, ავსტრალიელები ზედიზედ 5 მატჩში დამარცხდნენ. მეთერთმეტე ტურში „ბრამბისმა“ წაგებათა სერია კი შეწყვიტა, მაგრამ მოუგებელი მატჩების სერია გაიგრძელა. ბევრი რომ აღარ გაგაწვალოთ, „ბრამსი“ — ჩიფსის“ დაპირისპირება ფრედ — 28:28 დამთავრდა.

„ბულზმა“ მოლოდინისამებრ სამხრეთაფრიკულ „შარქსს“ სძლია, მიუხედავად იმისა, რომ „ზვიგენები“ შინ თამაშობდნენ და „ხარებს“ კარგადაც დაუდგნენ. ანგარიში კი — 17:23.

„სტორმერსი“ კეიპთაუნში“ ქეთსს“ ეთამაშა და 25:20 გაიმარჯვა.

სატურნირო ცხრილში ახლა ასეთი ვითარებაა. პლეი ოფებამდე კინკილა ტურიღა დარჩა და პირველ სამეულს, „ვარატასს“ „კრუზეიდერსსა“ და „ჰარიკეინსს“ ნახევარფინალის საგზურს ველარავინ შეეცილება. მეოთხე ადგილზე მოკალათებულ „ბულზს“ კი „ჰაილენდერსი“ და „ბლუზი“ მოსდევენ, თუმცა საეჭვოა, „ხარებმა“ უპირატესობა ვერ შეინარჩუნონ და ბოლო ტურში „სტორმერსთან“ ისე წააგონ, რომ პლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

**ლადო ჟულუკიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ს | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვარატასი | 10 | 8 | 0 | 2 | 143 | 8 | 40 |
| კრუზეიდერსი | 10 | 8 | 0 | 2 | 158 | 7 | 39 |
| ჰარიკეინსი | 10 | 8 | 0 | 2 | 55 | 2 | 34 |
| ბულზი | 10 | 6 | 0 | 4 | 11 | 5 | 29 |
| ჰაილენდერსი | 10 | 6 | 1 | 3 | 30 | 1 | 27 |
| ბლუზი | 10 | 6 | 0 | 4 | 32 | 2 | 26 |
| ბრამბისი | 10 | 4 | 1 | 5 | -13 | 6 | 24 |
| ჩიფსი | 10 | 4 | 1 | 5 | -1 | 5 | 23 |
| სტორმერსი | 10 | 3 | 1 | 6 | -44 | 4 | 18 |
| რედსი | 10 | 3 | 0 | 7 | -80 | 5 | 17 |
| ქეთსი | 10 | 1 | 0 | 9 | -100 | 7 | 11 |
| შარქსი | 10 | 1 | 0 | 9 | -179 | 5 | 9 |

**XI ტური**

6 მაისი. ოკლენდი

**ბლუზი 10:22 ჰარიკეინსი**

**ბლუზი:** 1 ლელო: ნაკევა
1 გარდასახვა: მაკალისტერი; 1 საჯარიმო: მაკალისტერი
**ჰარიკეინსი:** 3 ლელო: ჰერინგი, ფაატაუ, კენედი
2 გარდასახვა: გოპერთი; 1 საჯარიმო: გოპერთი

6 მაისი. სიდნეი

**ვარატასი 27:8 რედსი**

**ვარატასი:** 2 ლელო: ჰიუეთი, ჰარდი
1 გარდასახვა: ჰიუეთი; 5 საჯარიმო: ჰიუეთი
**რედსი:** 1 ლელო: ჰაქსლი
1 საჯარიმო: ჰაქსლი

7 მაისი. დუნედინი

**ჰაილენდერსი 13:27 კრუზეიდერსი**

**ჰაილენდერსი:** 1 ლელო: პედერსენი
1 გარდასახვა: ბლერი; 2 საჯარიმო: ევანსი
**კრუზეიდერსი:** 3 ლელო: მაუგერი (2), მარშალი
3 გარდასახვა: კარტერი; 2 საჯარიმო: კარტერი

7 მაისი. კანბერა

**ბრამბისი 28:28 ჩიფსი**

**ბრამბისი:** 4 ლელო: ჰენიაკი, მორთლოკი (2), ფინეგანი
4 გარდასახვა: მორთლოკი
**ჩიფსი:** 4 ლელო: ტააუსო (2), ქესთლი, სივივატუ
4 გარდასახვა: ჰილი

7 მაისი. დურბანი

**შარქსი 17:23 ბულზი**

**შარქსი:** 2 ლელო: რასელი, ფან დენ ბერგი
2 გარდასახვა: ჯეიმსი; 1 საჯარიმო: ჯეიმსი
**ბულზი:** 3 ლელო: საჯარიმო ლელო, მეტფილდი, გ. ბოთა,
1 გარდასახვა: შტეინი; 2 საჯარიმო: შტეინი

7 მაისი. კეიპთაუნი

**სტორმერსი 25:20 ქეთსი**

**სტორმენსი:** 3 ლელო: ენდრიუსი, თერონი, დევილიე
2 გარდასახვა: დუტუ; 2 საჯარიმო: დუტა
**ქეთსი:** 2 ლელო: ფიური, გუდისი
2 გარდასახვა: პრეტორიუსი; 1 საჯარიმო: პრეტორიუსი; 1 არეკნი: პრეტორიუსი

ოლიმპიზმი

# ხუთი რგოლი... ბიზნესს ახრჩობს

2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას ერთმანეთს 5 დიდი ქალაქი ეცილება. აქამდეც გაწვდიდით ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება მათი პაექრობა და ვის რა შანსები აქვს. თუმცა, რასაც ახლა გამცნობთ, ცოტა განსხვავებული ამბავია.

ლონდონში ოლიმპიური თამაშების ჩატარების წინააღმდეგ თვით ლონდონელი ბიზნესმენები გამოვიდნენ. 170-ზე მეტმა მსხვილმა მეწარმემ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში წერილი აფრინა და ამცნო, რომ ლონდონში თამაშების ჩატარებას ეწინააღმდეგებიან.

მეწარმეთა წარმომადგენლობის თქმით, ისინი დედაქალაქის განვითარების სააგენტომ აიძულა, ასეთი ნაბიჯი გადაედგათ, რადგან განაცხადა, ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლების მოპოვების შემთხვევაში ქალაქში რამდენიმე მსხვილი კომპანიის დახურვა გახდება აუცილებელიო. ბრიტანელ ბიზნესმენთა წერილში ნათქვამია:

„ჩვენ წარმოვადგენთ ბიზნესმენთა ჯგუფს, რომლებიც იძულებულნი იქნებიან, გაიხიზნონ ლონდონიდან, თუ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებას მოიპოვებს. იძულებულნი ვართ, გამცნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი კომპანიები დაიხურება. სხვა არჩევანი არ დაგვიტოვეს, ან ოლიმპიადა ან ბიზნესი, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია და ამ შემთხვევაში უარს ვამბობთ, მხარი დავუჭიროთ ლონდონის განაცხადს. ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ლონდონის არჩევის შემთხვევაში ისინი პასუხისმგებელნი იქნებიან 300-ზე მეტი წარმატებული კომპანიის დახურვაში, რასაც მოჰყვება რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილის დაკარგვა. გთხოვთ, საკითხს მთელი სერიოზულობით მიუდგეთ“.

**ლადო ჟულუკიძე**



# ჯომოლუნგმა კვლავ განრისხდა

**დედამიწის** უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (ევერესტი — 8848) ყოველწლიურად ზრდის თავის მსხვერპლთა რაოდენობას. უტრაგედიოდ არც მიმდინარე საგაზაფხულო სეზონი მიმდინარეობს. ამ მწვერვალის დალაშქვრისას დაიღუპა 63 წლის კანადელი პროფესორი შინ იგანი, რომელსაც სურდა ჯომოლუნგმაზე ამსვლელთა შორის გამხდარიყო უხუცესი.

შინ იგანს დიდი სიმაღლის გამო ფილტვებთან დაკავშირებული, პრობლემები გაუჩნდა რამაც გულის უკმარისობა გამოიწვია, ეს კი სიკვდილის მიზეზი გახდა.

ასე რომ, შინ იგანის მესამე ცდა ტრაგიკულად დამთავრდა.

რამდენიმე დღით ადრე ევერესტის დალაშქვრის ცდისას დაიღუპა ბულგარელი მთამსვლელი მარიანა მასლაროვა. მასზე ცოტა ხნით ადრე იგივე ბედი გაიზიარა 38 წლის ბელგიელმა პიტერ ლეგეიტმა, რომელიც 200-მეტრიანი სიღრმის ყინულის ნაპრალში ჩავარდა.

ხიფათს გადაეყარა რუსეთის მთამსვლელთა ჯგუფიც, როცა იგი გვატემალელი კოლეგის გადარჩენას ცდილობდა.

რუსი მთამსვლელები შესაძლებლობათა ზღვარზე იყვნენ და სულ მალე ერთიმეორის მიყოლებით გრძნობის დაკარგვაც დაიწყეს. შემთხვევით მათთან ახლოს აღმოჩნდა ამერიკელ მთამსვლელთა ჯგუფი. იგი 8600 მეტრ სიმაღლეზე გადაეყარა რუსებს, რომლებიც თოვლში ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრულნი დაწოლილიყვნენ და ამგვარად ცდილობდნენ სითბოს შენარჩუნებას და ძლივს შესამჩნევად მოძრაობდნენ.

და მაინც, ერთ-ერთი რუსი მთამსვლელი, როცა ამერიკელების დახმარებით ქვემოთ ჩამოჰყავდათ, დაიღუპა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ბეისბოლი

# ძია ჯორჯი, ბეისბოლი და თბილისელი ნორჩები



2004 წლის 2 თებერვლის „სარბიელში" ერთ საინტერესო სტატიას გაეცნობოდა მკითხველი. - ნორჩი ქართველი ბეისბოლისტები და სოფტბოლისტები აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს სწერდნენ, ბიძია ბუშ, ვიცით, ბეისბოლის დიდი ქომაგი რომ ხართ და ეგებ ჩვენს პრეზიდენტსაც გადაულაპარაკოთ, რომ სპორტის ამ სახეობას საქართველოში ყურადღება მიაქციოსო.

**ამ** ერთი შეხედვით მიამიტ წერილში ბევრი საინტერესო რამ ეწერა, თუმცა ახლა ყველაფრის გამეორებას არ ვაპირებთ. იმასღა ვიტყვით, რომ ხელისმომწერნი (რამდენიმე ათეული პატარა სოფტბოლისტი და ბეისბოლისტი) იმედს გამოთქვამდნენ, რომ ჯორჯ ბუში საქართველოს მალე პირადად ეწვეოდა.

10 მაისიც კარს მომდგარა და ამ პატარების ოცნებაც ახდა. „ძია ჯორჯი" ჩვენს ქვეყანას ეწვევა და ეგებ მართლაც ჩამოუგდოს საქართველოს პრეზიდენტს ბეისბოლის განვითარებაზე სიტყვა.

სხვათა შორის, ბუშთა ოჯახი მართლაც ძალიან ახლოსაა საერთოდ სპორტთან და განსაკუთრებით ბეისბოლთან. უფროსი ბუში იენის უნივერსიტეტში სწავლისას იქაურთა გუნდს კაპიტნობდა, უმცროსს კი ნორჩობაში უქნევია კეტი, შემდეგ კი ტეხასური გუნდის მფლობელიც ყოფილა.

ერთი სიტყვით, ასეა, ბეისბოლისადმი გაუშინაურებელ ქართველებს იმ ქვეყნის პრეზიდენტი სტუმრობს, სადაც სპორტის ეს სახეობა ეროვნულ სიამაყედ და საქვეყნო ტრადიციად ითვლება. საქართველოს სოფტბოლისა და ბეისბოლის ფედერაცია, რომელსაც ბატონი რამაზ გოგლიძე თავკაცობს, ქართველ დიდ-პატარა ბეისბოლისტებთან ერთად ამ ამბავს სიხარულით ხვდება.

**ლადო ფულუკიძე**

ჰოკეი

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვენა-ინსბრუკი

# ორი სპექტაკლი გრანდების მონაწილეობით

**E ჯგუფი**

რუსეთი — შვეიცარია — 3:3
ჩეხეთი — სლოვაკეთი — 5:1
ყაზახეთი — ბელარუსი — 0:2

**F ჯგუფი**

აშშ — ფინეთი — 4:4
კანადა — შვედეთი — 4:5
ლატვია — უკრაინა — 3:0
მე-13-16 ადგილებისთვის
სლოვენია — დანია — 4:3
გერმანია — ავსტრია — 2:2




AFP ინსბრუკიდან

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მერვე დღემ, 7 მაისმა, ორი ბრწყინვალე სპექტაკლი გვაჩუქა გრანდების მონაწილეობით. მიუხედავად სრულიად განსხვავებული სცენარისა და საბოლოო შედეგისა, ორივე ტურნირის მშვენებად იქცა. პირველში ოდესღაც ერთი ქვეყნის წარმომადგენლები, ახლა კი უკომპრომისო მეტოქეები, ჩეხები და სლოვაკები დაეჯახნენ ერთმანეთს. მოლოდინი არ გამართლდა, სერიოზული ბრძოლა არ შედგა. იარომირ იაგრის (ჩეხთა ლიდერმა ტრავმა მოირჩინა, შეუერთდა გუნდს და ორი პასიც კი მიითვალა). გუნდმა პირველ ეტაპზეც მძლავრი თამაში აჩვენა, ოღონდ გოლების გატანა უჭირდათ, მაგრამ ამჯერად ჩეხებმა ჯავრი იყარეს და საბრალო მეზობლები სრულიად გაანადგურეს. მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მხოლოდ მეორე პერიოდის დასაწყისში იყო, როცა სლოვაკებმა ერთი საპასუხო გოლი გატანეს (ამ მომენტისთვის ანგარიში 2:0 იყო) და შემდეგ კიდევ რამდენიმე სახიფათო იერიში განახორციელეს. მაგრამ მესამედის შუაგულში ჩეხებმა 40 წამის განმავლობაში ორი შაიბა შეაგდეს და ამით საბოლოოდ გატეხეს მეტოქე, პერიოდის მიწურულს კი პავოლ კუბინამ ბოლო წერტილი დასვა. თუმც საქმე არა მხოლოდ ანგარიშშია, არამედ იმაში, თუ რაოდენ მობილიზებულად და აგრესიულად ჩაატარეს შეხვედრა ჩეხებმა.

სხვათა შორის, ბოლო ხანს მათ საგრძნობლად შეცვალეს თავიანთი სათამაშო ტაქტიკა. ყოველთვის კონტრშეტევითი თამაშით ცნობილმა ჩეხებმა კანადური ჰოკეისთვის დამახასიათებელ ზეწოლას და შემართებას მიანიჭეს უპირატესობა და ამის წყალობით თამაში საინტერესო და სანახაობრივი გახდა. მეტოქისთვის ეს აშკარა სიურპრიზი იყო და პირველ პერიოდში პეტრ სიკორამ და მარტინ სტრაკამ ორჯერ ისარგებლეს ამით, დანარჩენი კი უკვე ზემოთ მოგახსენეთ. ისიც გავიხსენოთ, რომ, წინა ჩემპიონატზე სლოვაკებმა პრინციპულ მეტოქეს მესამე ადგილისთვის შეხვედრაში მოუგეს, ასე რომ, ამჯერად ჩეხებმა რევანში აიღეს.

მეორე ცენტრალურ თამაშში შარშანდელი ფინალისტები შეხვდნენ და აქაც შურისძიება შედგა.

მოგეხსენებათ, 2003 და 2004 წლების ჩემპიონატის ფინალებში კანადამ დაამარცხა შვედები, თანაც ორჯერვე თამაშის მსვლელობისას ჰოკეის დამაარსებლები აგებდნენ, მაგრამ ახერხებდნენ მატჩის შემოტრიალებას. ამჯერად ყველაფერი სრულიად საპირისპიროდ მოხდა. პირველი 25 წუთის განმავლობაში კანადელთა უპირატესობა უდავო იყო და მას შემდეგ, რაც შეინ დოუნმა ანგარიში 3:1 გახადა, ყველამ ალბათ იფიქრა, რომ ამ შეხვედრაშიც ჩეხეთი-სლოვაკეთის თამაშის სცენარი განმეორდებოდა. თუმც „ვიკინგები" ასე არ ფიქრობდნენ. მათ თანდათან ხელთ იგდეს უპირატესობა და, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, კანადელებს სწორედ მათივე იარაღით აჯობეს. სკანდინავებმა ჩაკეტეს მეტოქე ზონაში, უმოწყალო პრესინგს მიმართეს და სანამ გონს მოეგებოდნენ, სამი უპასუხო შაიბა შეაგდეს. მეორე პერიოდი შვედებმა თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს. ბოლო მესამედში კანადელთა მამარჩენალმა რიკ ნეშმა თავისი მეშვიდე გოლი გაიტანა ამ ტურნირზე, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ევროპელებმა თქვეს, როცა შეტევაში მოულოდნელად ჩართულმა მცველმა კენი იუნსონმა დამატებაზე იხეირა. განცვიფრებულმა კანადელებმა ბოლო წუთებზე მათთვის ჩვეული შტურმიც კი ვერ მოაწყვეს და ტურნირზე პირველი ქულები დაკარგეს, „ვიკინგები" კი ჯერჯერობით მხოლოდ იგებენ.

წინა დღეს ჩემპიონატზე პირველი სენსაცია შედგა. უფრო სწორად, რუსებმა უკვე მიგვაჩვიეს იმას, რომ ბოლო წლებში ისინი აშკარა ფავორიტებს აღარ მიეკუთვნებიან და საკმაოდ ხშირად კარგავენ ქულებს ისეთ მეტოქეებთან თამაშებში, რომლებსაც ოდესღაც ორნიშნა ანგარიშით ამარცხებდნენ. თუმც ამ ტურნირზე პირველი ეტაპის შემდეგ რუსების მიმართ ბევრი სანაქებო სიტყვა ითქვა და ამ მატჩში ისინი ფავორიტებად აღიქმებოდნენ. მიუხედავად სწრაფად გაშვებული გოლისა, რუსებმა უმალ ხელთ იგდეს ინიციატივა და უკვე მე-6 წუთისთვის წინ გავიდნენ — 2:1. მაგრამ შემდეგ სლავების დალაგებული თამაში რატომღაც დაიშალა და პოლ დიპიეტროს და მარკ შტრაიტის გოლების შემდეგ მათ ხელმეორედ გაუშვეს მეტოქე წინ. ამჯერად დიდი გაჭირვებით მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბოლოს შვეიცარიელები აშკარად დაიღალნენ.

დანარჩენი მოვლენებიდან გამოვყოფთ შაბათს გამართულ „საბჭოთა კავშირის შიდა ჩემპიონატს".

მოგეხსენებათ, პირველად მსოფლიოს პირველობების ისტორიაში, ყოფილი სსრკ-ს ხუთი (!) წარმომადგენელი მეორე ეტაპზე გავიდა და განრიგის თანახმად ოთხ მათგანს ერთ დღეს მოუწია დაწყვილება, ორივე მატჩში მოგება წილად იმ გუნდს ხვდა, რომელიც აქამდეც უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ანუ ბელარუსებს და ლატვიელებს. დარჩენილი მატჩების წარმატებით ჩატარების შემთხვევაში ორივეს შეუძლია მეოთხედფინალში გასვლა. თუმც საამისოდ ბალტიისპირელებს ორ სკანდინავიურ გრანდთან ელით შეხვედრა. აი, ბელარუსების ამოცანა უფრო იოლი ჩანს. მიზნის მისაღწევად მათ შვეიცარიელთა ძლევა მართებთ, თუ, ცხადია, მანამდე კიდევ რამდენიმე სხვა ბელარუსს დოპინგზე არ დაიჭერენ.

**სამველ ღარიბიანი**

ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეხუთე ეტაპი

# ყინულის კაცის პირველი ესპანური


AFP ბარსელონიდან

კიმი რაიკონენმა (მარჯვნივ) ფერნანდო ალონსო მისსავე „მოედანზე“ დაამარცხა

**ესპანური** ეტაპის წინა დღეებში საყოველთაო ყურადღება „BAR-ჰონდასთან“ დაკავშირებული სკანდალისკენ იყო მიმართული. შეგახსენებთ, ორი კვირის წინ სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშებაში ჯენსონ ბატონი მესამე ადგილზე გავიდა, ტაკუმა სატო — მეხუთეზე, რითაც ბრიტანულ-იაპონურ საჯინიბოს მიმდინარე სეზონში პირველი ქულები მოუპოვეს.

მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. რბოლის შემდეგ აწონვისას ბატონის ბოლიდი თავიდან ნორმაში კი იყო, მაგრამ მეორე, მომცრო ავზში დარჩენილი საწვავის ჩამოქცევის მერე მინიმალურ 600 კილოგრამზე ხუთი კილოთი მსუბუქი აღმოჩნდა. ცხადია, დიდი ხმაური ატყდა. სპორტული აფერისტობისთვის ბარ-ს დისკვალიფიკაცია ელოდა. იყო ვარიანტი, რომ გუნდი ჩემპიონატის ბოლომდე მოეკვეთათ, მაგრამ საპელაციო კომისიამ იმოლაში მოპოვებული 10 ქულა გაუუქმა და ორრბოლიანი დისკვალიფიკაცია აკმარა.

საჯინიბოს ბოსმა ნიკ ფრაიმ ეს ვერდიქტიც გააპროტესტა, ძალიან მკაცრი სასჯელია და ორი ეტაპის გამოტოვებით სპონსორებისგან სულ მცირე, ათ მილიონ დოლარს დავკარგავთო. მიზეზზე კი ბრძანა, აკრძალული და შენიღბული არაფერი გვაქვს, მცირე რეზერვუარის არსებობა ჩვენი მანქანის კონსტრუქციიდან გამომდინარეობს და ბალასტის როლს არ თამაშობსო. ფრაი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ბედს შეურიგდა, ესპანეთში რბოლამდე განხილვა მაინც არ მოესწრებაო.

ამბობენ, ბარ-ი კონკურენტებმა ჩაუშვეს, თორემ ავტოფედერაციის სტიუარდები იმ მეორე ავზს ვერ აღმოაჩენდნენო.

იმოლაში კიდევ ერთ დაზარალებულზე: ტოიოტელმა რალფ შუმახერმა ბოქსებში შესვლისას ავარიული ვითარებაში შექმნა — კინაღამ ნიკ ჰაიდფელდის „უილიამსს“ დაეჯახა. მსაჯებმა პატარა შუმის შედეგს 25 საჯარიმო წამი დაუმატეს, რის გამოც მერვედან სამი



საფეხურით ჩამოქვეითდა და ის კინკილა ქულაც არ შერჩა.

ამ ცვლილებებით ყველაზე მეტად იხეირა „მაკლარენში“ ხუან-პაბლო მონტოიას შემცვლელმა ალექსანდრ ვურცმა, რომელმაც ბატონის საპოდიუმე ადგილი დაიკავა. თავის პირველივე რბოლაში ჩასათვლელ რვიანში აღმოჩნდა იტალიელი ახალბედა ვიტანტონიო ლიუცი და რალფის ქულა ერგო.

ჩოგბურთის თამაშისას მხარდაშავებული მონტოია საჭეს კი დაუბრუნდა, მაგრამ ერთთვიან უქმობას უკვალოდ არ ჩაუვლია და ბარსელონაში პირველივე ვარჯიშისას ავარია შემთხვა — ტრასიდან გავარდნილი „მაკი“ ბარიერს მიალეწა. ხუანი თითქმის არ დაშავებულა, მაგრამ ეტყობა, ინციდენტის გამო შაბათს კვალიფიკაციისას ფრთხილობდა და პირველ ცდაზე მხოლოდ მე-12 შედეგი ჰქონდა. გუშინ, მეორე გასვლაზე შედარებით გამოასწორა საქმე და მეშვიდე სასტარტო პოზიციაზე დადგა, მიხაელ შუმახერის წინ.

„კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე პირველი რბოლა 1991 წლის 29 სექტემბერს გაიმართა. მას შემდეგ ტრიბუნები გასულ უქმეებზე პირველად შეივსო. მთელ ესპანეთს სურდა თავისი ეროვნული გმირის, ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოს ჯირითის ნახვა. ნანდო შარშან მეოთხე ადგილზე გავიდა, ახლა კი გაცილებით უკეთესი „რენოთი“ მშობლიური დიდი პრიზის დასაკუთრების ეიმედებოდა.

მიხაელი ერთადერთი პილოტია, რომელიც „კატალუნიაზე“ გამართულ თხუთმეტივე რბოლაში მონაწილეობდა და შედეგიანობაც სარეკორდო აქვს — ექვსი მოგება, კიდევ ხუთი პოდიუმი, შვიდი პოული და ამდენივე უსწრაფესი წრე. დღევანდელებიდან მის გარდა ერთხელ, რვა წლის წინ, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა გაიმარჯვა.

გუშინ კი „მაკლარენ-მერსედესის“ პილოტ კიმი რაიკონენის ბენეფისის დღე იყო. ჯერ იყო და მეორე საკვალიფიკაციო წრე ყველაზე სწრაფად გაიქროლა და ორი ცდის ჯამში საგრძნობი უპირატესობით მოიპოვა წლეულს ზედიზედ მეორე პოული. რბოლაც ისეთ ფანტასტიკურ ტემპში დაიწყო, თავიდანვე ჩამოიტოვა მდევრები და ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა.

25 წლის „ყინულის კაცმა“ წინა რბოლაც ასე დაიწყო და ალბათ იმოლაშიც ყველას აჯობებდა, მაგრამ მაშინ ძრავამ უმტყუნა. შვიდი წრის გავლის მერე ამჯერად „ვერცხლისფერი ისრების“ გული უნაკლოდ მუშაობდა, კიმიმ 12-ჯერ (!) გააუმჯობესა წრის გავლის დრო და დისტანციის მესამედის დაფარვის მერე უკვე 23 წამით უსწრებდა მეორე ადგილზე მყოფ ალონსოს.

ფერნანდომ სტარტზევე [illegible] ავსტრალიელ მარკ ვებერს, მაგრამ რაიკონენთან ერთი-ორი უკბილო გაბრძოლებით ვერაფერს გახდა და მალე უიმედოდ ჩამორჩა. „რენოს“ ბოლიდებს ბარსელონაში ახალი ვერსიის ძრავები ედგათ, მაგრამ გამარჯვება ვერ შეძლეს. ალონსოს მანქანა „მაკლარენის“ ფეთიანი ტემპის ფონზე აშკარად მძიმე ჩანდა.

კვალიფიკაციაში მიხაელის ორწამიანი პასივი ნაწილობრივ ერთ-ერთ მოსახვევში შეცდომით, უფრო კი ავზში მეტოქეებზე მეტი საწვავით აიხსნება. მან იმოლაშიც ასეთივე, გვიანი საბოქსე ტაქტიკა აირჩია და მაშინ გაუმართლა კიდეც — სტარტზე მეცამეტე ფინიშთან მეორე მიიჭრა. გუშინაც მსგავსი ვითარება ისახებოდა, ჩემპიონმა ყველაზე გვიან ჩაიმატა საწვავი, მანამდე კი შემსუბუქებული „ფერარით“ ორი-სამი უსწრაფესი წრე გაახერხა და მეოთხე პოზიციაზე აღმოჩნდა. ახლა ძნელია ამაზე მსჯელობა, მაგრამ რბოლა იქნებ პოდიუმზეც დაესრულებინა, მით უმეტეს, მის წინ მიმავალ ჯანკარლო ფიზიკელას 35-წამიანი შეფერხების გამო. ეგაა, მონტოიას გასწრებისას მოხრეშილ ზონაში გადასულ შუმახერის ბედაურს „ბრიჯსტოუნის“ საბურავი გაუსკდა და 19 წრით ადრე ბრძოლას გამოეთიშა.

ბარიკელომ სულაც ერთადერთი პიტსტოპით მოიწადინა ფონს გასვლა. თანაფერარელისგან განსხვავებული ტაქტიკა იმან გამოიწვია, რომ მის მანქანაში პარასკევს ვარჯიშისას დაზიანებული ძრავა შესაცვლელი შეიქნა, ეს კი სტარტზე ათი პოზიციით უკან გადანაცვლებას ნიშნავს. რუბინიოს შაბათს პირველ ცდაზე მეცხრე შედეგი ჰქონდა, მეორეზე კი საერთოდ არ გასულა და რბოლის დაწყება ბოლოდან მოუხდა.

ბრაზილიელის ბოლიდმა ამჯერად ბოლომდე კი გაძლო (იმოლაში ელექტრონიკამ დაალალატა), მაგრამ ერთბოქსიანმა გეგმამ არ გაამართლა და საქულე ზონის მიღმა დარჩა.

2003 წლის ვიცე-ჩემპიონმა რაიკონენმა წლეულს პირველი დიდი პრიზი მოიგო, 72-ეტაპიან კარიერაში მესამე და სატურნირო ცხრილში მეთერთმეტედან მესამე საფეხურზე შესკუპდა. გამარჯვებული ტრადიციულად, ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა დააჯილდოვა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ესპანეთის დიდი პრიზი**
**8 მაისი. ბარსელონა**
დისტანცია 66 წრე — 305,256კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1.27.16,830 (209,8 კმ/სთ) |
| 2. | (3) | ალონსო (რენო) | ჩამორჩა 27,6 |
| 3. | (5) | ტრული (ტოიოტა) | 45,8 |
| 4. | (4) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 46,5 |
| 5. | (6) | ფიზიკელა (რენო) | 57,7 |
| 6. | (2) | ვებერი (უილიამსი) | 1.08,3 |
| 7. | (7) | მონტოია (მაკლარენი) | 1 წრით |
| 8. | (9) | კულჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 9. | (16) | ბარიკელო (ფერარი) | 1 წრით |
| 10. | (17) | ჰაიდფელდი (უილიამსი) | 1 წრით |
| 11. | (10) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 12. | (18) | მონტეირო (ჯორდანი) | 3 წრით |
| 13. | (13) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (12) | ვილნევი (ზაუბერი) | გაიარა 51 წრე |
| (8) | მ.შუმახერი (ფერარი) | 47 |
| (14) | ალბერსი (მინარდი) | 20 |
| (15) | ფრიზახერი (მინარდი) | 12 |
| (11) | ლიუცი (რედ ბული) | 10 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

ბატონი (B.A.R) არ ურბოლიათ

სატო (B.A.R) დისკვალიფიკაციის გამო

**პოული**

რაიკონენი — 2.31,421

**საუკეთესო წრე**

ფიზიკელა — 1.15,641 (220,2 კმ/სთ)

| | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დ.ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანია 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | | | | | | | | | | | | | | | 44 |
| 2 ტრული ტოიოტა, იტალია | – | 8 | 8 | 4 | 6 | | | | | | | | | | | | | | | 26 |
| 3 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 1 | – | 6 | – | 10 | | | | | | | | | | | | | | | 17 |
| 4 ფიზიკელა რენო, იტალია | 10 | – | – | – | 4 | | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 5 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 4 | 5 | – | 5 | | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 6 ვებერი უილიამსი, ავსტრალია | 4 | – | 3 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 7 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | – | 2 | – | 8 | – | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 8 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 3 | 5 | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 9 კულჰარდი რედ ბული, დ. ბრიტანეთი | 5 | 3 | 1 | – | 1 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 10 ჰაიდფელდი უილიამსი, გერმანია | – | 6 | – | 3 | – | | | | | | | | | | | | | | | 9 |
| ბარიკელო — 8, ვურცი (მაკლარენი)— 6, ვილნევი — 5, დე ლა როსა (მაკლარენი) — 4, კლიენი (რედ ბული) — 3, მასა — 2, ლიუცი —1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | | | | | | | | | | | | | | | 58 |
| 2 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | | | | | | | | | | | | | | | 40 |
| 3 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | | | | | | | | | | | | | | | 37 |
| 4 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 21 |
| 5 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | | | | | | | | | | | | | | | 18 |
| რედ ბული — 14, ზაუბერი — 7 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კენტაკი დაიწყო

შაბათს ლუისვილში დაიწყო დიადი და ლეგენდარული კენტაკის დერბი, უკვე 131-ედ. მავან გულშემატკივარს რომის პაპივით ჩაუცვამს, არაუშავს, ეს კენტაკის სტილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ლუის ვილიდან



# უმსუბუქესი

კიმ ჯუ-ჰი, სამხრეთკორეელი გოგო არის ქალთა კრივის უმსუბუქესი წონის ჩემპიონი, მან ათრაუნდიანი ბრძოლის მეორე რაუნდში დასცა ფილიპინელი მადიდა კიდსოლანი და მშობლიურ სეულშივე ირტყა ქამარი.




AFP ლას ვეგასიდან

# დიეგო უდავო

დიეგო კორალესი (მარჯვნივ) მსუბუქი წონის აწ უდავო ჩემპიონია. მან ლას ვეგასის გამაერთიანებელ ბრძოლაში ლუის კასტილიო დაამარცხა. რეფერიმ მეათე რაუნდში შეწყვიტა ბრძოლა კორალესის აშკარა უპირატესობის გამო.



AFP სეულიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge